


მწყემსი



გაზეთის
საქონელი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დასდეს ცხოვართათვის. იოან. 10—11.
შოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სისარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.
შოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენეთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 1-2 1883—1902 1—30 იანვარი.


შ ი ნ ა რ ს ი:

სალიტიმაციათა განყოფილება: 1 იანვარი 1902 წელსა, დეკ. დ. დამაშობისა.—იმერეთის ეპარქიის სამღვდელს კრება ქუთაისში 1—5 დეკემბერს 1901 წ.—წმიდა ნინოს დღესასწაულზეა კაცავეში.—„მწყემსის“ კორრესპონდენტები.—ვინ იყვნენ „პაპები“ ანუ „მაგები“? შლ. ი. მარკიანისა.—ორი დრო (ლუკის) რ. საჯაოხელისა.—რუსეთის სახელმწიფო წარჯთაღობისა 1901 წ.—ეურნალ გაზეთებიდან.—ახალი ამბები და შინაშენები.—რუსთაქისაგან.
სწავლა და მისწინაობა შინაგანობაში სარწმუნოებას და კითხვ-წამოგაზამ: მოძღვრება ოც დამეშვიდვ კვირაცხსა, თქმული ქუთაისის საკათედრო ტაძარში ყ-დ სამღვ. იმერეთის ეპისკ. ლეონიდის მიერ.—სიტყვა შობა დღეს. თქმული შლ. მარკოზ ტყეშელაშვილის მიერ.
საპირი და სასარგებლო ცნობათა განყოფილება: საეკლესიო კითხვების განმარტება.—განცხადება.

1 იანვარი 1902 წელსა.

მოვილოცებ, მვირფასო მკითხველო, ახალ წელიწადს! გულითა და სულით ვისურვებ უკეთესი გზებით და სულიერის დამძვირებით მიგაგებოდეთ შემდეგ ახალ წლებს; ვისურვებ, რომ უმჯობესის სისარულით და იმედებით

შეგედროდეთ სხვა ახალ წელიწადს. იქნება თქვენი გზნობა და სულიერი მდგომარეობა, თქვენი სისარული და მომავალი დროის იმედები სრული იყო და ყოველის მსრით კმაყოფილი იყავით, მაგრამ ჩვენის მსრით-კი, უნდა გამოვიტყდეთ და გითხრათ, რომ დემონთან ბრძოლა კი ახლოროს იმ გზნობას, რა



გრძნობითაც ჩვენ მივეცემით ახალ წელს და ახალი საუკუნის დამდევს. მოკესსენებთ, ეოველი კაცია თავის წარსულში უნდა ემებდეს მომავალი დროის სანუგეშოს, მომავალი დროის იმედებს. გადაათვალიერეთ ძველი ჩვენი დრო, თუ კინდ ორი საუკუნისა. რას ნახავთ თქვენ აქ სანუგეშოს, მომავალი დროისათვის საიმედოს? არაფერს. თავი დავანებოთ ხალხის პოლიტიკურ მდგომარეობას, პოლიტიკურ ცხოვრებას, ხალხის მთელ ისტორიულ მიმდინარეობას. ამაებზე წერს, ლაპარაკი და ბასი მიკვირდება საერო ჟურნალ-გაზეთებისათვის, ჩვენ მხოლოდ ურადღებთ მივაქციეთ სარწმუნოებრივ და ზნეობრივ მხარეს. გავიტყალებისწინათ და შევიტყათ რა იყო წინეთ და რა არის დღეს, რა ვაუვათ წინეთ და რა ვართ დღეს?!

ათასწილის სხვა-და-სხვა ოფიციალურ ანგარიშებიდან, მრავალ, ესრედ წოდებულ ჟურნალ-გაზეთთაგან, რომელნიც არსებობენ ცოცხლსა ამა ქვეყანასა ზედა, მხოლოდ გუნდრუკის საძველად, საქებრად და სადიდებლად ჩინებულთა, ხალხის სარწმუნოება და ზნეობა უმეტეს წერტილადვე აუვაკებულთა, ქრისტეს მცნება მოუვასთა სიყვარულითა და კაცთა მორის სთნოებისა გამყდარა ეოველ ქრისტინეთა მებალსა და რბილში. აღარ იუოს ვითომ ჩვენში არც აზნაურობა, არცა ურიაობა. არცა ელინობა, არცა სკეთელობა. მაგრამ ამას ამბობენ და იტყვიან მხოლოდ სიტყვით, და საქმით სულ სხვა არის, სხვა ხდება და სხვა სრულდება. ევალაფერში ჰბამვენ ურიათა, რომელნიც ჰქმნარტ მორწმუნედ აღიარებდენ თავიანთ თავთა და ურწმუნონი იყვნენ.

ჰბამვენ ურიათა, რომელთაც ნიდაც მაკიდაზე ესვენათ ათი მცნება მოსესი, მაგრამ კერპებს სცემდენ თაყვანსა. ჰბამვენ ურიათა, რომელნიცა სამოსლის კალთებზე დაიწვრდენ მოსეს მცნებათა და ღვთის სიტყვათა ქვრივთა, ობოლთა და გაჭირვებულთა შებრალებაზე, მაგრამ საქმით კი აიკლებდენ საწვალთა და აივსებდენ სახლთა თვისთა ნატაცებითა და არა წმიდებითა... დიად, ცუდი დრო დაგვიდგა. აღარ არის მძობა, აღარ არის სიყვარული, მხოლოდ ფერისეგლობა, ფლიდობა, მოტყუება, ორწინობა და თვალთმაქცობა ჰბარზამებს... თვალსაჩინოდ გაჰმბორებიან და საქმით სამარეს გითხრიან. სხვის საჩვენებლად პატვისა ცემენ და გულთ-კი საიდუმლოდ გლეხიან, სახალხოდ მხად აღვიარებენ, საქმით-კი მტრობას გიწვევენ და მიწასთან გასწორებენ. თვალსაჩინოდ მხრუნველებად გეჩვენებიან, საქმით-კი მენს დამსობას და უკანასკნელი ლუკმის გწვევტას მეცადინობენ; სახალხოდ მოუვასად აღვიარებენ, საქმით კი მტრად გრაცხენ და არ დავინდობენ...

ეს არის ცხრამეტე საუკუნის ქრისტინობა? ეს არის ქრისტეს სარწმუნოების აღსარება? ეს არის ქრისტეს მცნების აღსრულება მოუვასთა სიყვარულითა შესახებ?!

აი ეს და სხვა მრავალნი სამწუხარო ესლანდელი დროის ჩვენი ცხოვრების მოვლენანი, რომელთა დასახლება შეუძლებელ არს, სწულავენ ჩვენს გულს და ამფოთებენ ჩვენს სულს. ერთად ერთი იმედი, ერთად ერთი სასოება ჩვენი არის დიქრთი. დიქრთი ეოველის შემძლებელი, ეოველივეს მცოდნე, რომელიც მიაკებს კად-კაცადსა საქმეთაებრ მათთა.

დკ. დ. დამაშაძე.

იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატ-თა კრება 3. მუთაისში 1—5 დეკემბერს 1901 წ.

როგორც ციან ჩვენმა მკითხველებმა, იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატებს სასწავლებლების საქმეების შესახებ კრება ჰქონდათ ქუთაისში დეკემბრის პირველ რიცხვებში. პირველ დღესვე შეიკრიბა საკმაო რიცხვი დეპუტატებისა და ამისათვის იგინი შეუდგნენ კრების თავსმჯდომარის არჩევას. დასახლებული იყვნენ რამდენიმე სამღვდლო პირები კრების თავსმჯდომარის თანამდებობაზე. მათ შორის, უმეტესი ხმით დანიშნული იყო დეკ. დ. ლაბაშიძე, რომელიც ჯერ არ თანხმდებოდა ამ თანამდებობის მიღებაზე, მაგრამ კრების თხოვნას ზატივი სცა და დათანხმდა. მოხდა კენჭის ყრა, რომლითაც კიდევ არჩეულ იქნა, სხვა კანდიდატებმა-კი უარი განაცხადეს კენჭის ყრაზე. აღრჩეულ იქნა აგრეთვე საქმის მწარმოებლად მღ. მესხია.

თავსმჯდომარის აღრჩევის შემდეგ, მათი მეუფება, ყოვლად სამღვდლო ლეონიდი მობრძანდა კრებაზე, აკურთხა კრება და მოკლე სიტყვით მიმართა დეპუტატებს, რომელითაც განუშარტა მათ მათი დღი მოვალეობა; ამასთან გააფრთხილა ისინი, რომ უბრალოდ დრო არ დაეკარგათ გრძელი ბასობით. წინადადება, ბრძანა მათმა მეუფებამ, ბევრი გაქვსთ მოცემული სასწავლებლებიდან და ეცადეთ, რომ ისე არ დასტოვოთ, როგორც წარსულ წელში მოგივლიათ. არის ბევრი კითხვა, რომელიც კრებაზე ყველასაგან ძნელი გადასაწყვეტია. ამისთანა ძნელი გადასაწყვეტი კითხვები პირველად უნდა განვიხილოთ კრებისაგან აღრჩეულმა კომისიამ და კომიტეტმა; კრებისაგან გადასაწყვეტი კითხვა მან უნდა შეჰკრიბოს ყოველგვარი საჭირო ცნობა და თავის აზრთან ერთად წარუდგინოს კრებას. კრებას აწინაირად უფრო გაუადვილდება საქმის გადაწყვეტა. სასწავლებლის საქმე ძლიერ ცუდ მდგომარეობაშია; უნდა ეცადოთ როგორიმე გზით ან გაკყოთ ეს სასწავლებელი ან დასტოვოთ, მაგრამ გააუმჯობესოთ ეს მისი მდგომარეობა. მოითქვით კარგად და ერთ რაიმე გარდასწყვეტილებს დაადგინეთ. სხვა კითხვებიც გაქვსთ მოცემული; იმედია ეცდებით და რიგიანად დააბოლოებთ.

როცა დაასრულა სიტყვა მათმა მეუფებამ, თავსმჯდომარემ მოახსენა: თქვენო ყოვლად უსამღვდლოებსოვამ! დღეს დეპუტატებმა სხვათა შორის, როცა სხვა-და-სხვა საბაზას კითხვები ჩამოვიკლეს; რამდენიმე კითხვა დასახლებული თავიანთ მოვალეობის აღსრულების შესახებ. აქ ისეთ კითხვებს შეეხენ, რომლებზედაც ჟურნალის დადგენა შეუძლებლად მიიჩნია. მაგალითებრ, ბევრს მათგანს ჰსურს განემარტოს წარსულ წელში გამოცემული ცირკულიარული მიწერილობა შესახებ შესამე დღეს უზაროდ გარდაცვალებულთა დამარხვისა. თუმცა ამ კითხვის შესახებ თქვენის მეუფების ნებადართვით, ჩვენ კიდევ განუშარტეთ ყველა ის საუკუო კითხვები სამღვდლოებს ზემდგომი საშუალებით, მაგრამ სამწუხაროდ კიდევ არიან ზოგიერთი სამღვდლონი და საერონი, რომელთაც ცირკულიარული მიწერილობა ამ საგნის შესახებ ვერ გაუფიქრებიათ და მის შინაარსს განმარტებენ სრულებით არა ისე, როგორც უნდა იყოს, არამედ სხვა-და-სხვანაირად. ჩვენის აზრით, საქმარისა სიტყვით განემარტოს მათ თქვენი მეუფებისაგან

მათი მეუფებმა სიამოვნებით დათანხმდა ამ კითხვის განმარტებაზე და უბრძანა კანცელარიიდან მოეტანათ ამ ცირკულიარის პირი. სანამ ცირკულიარულ მიწერილობის პირს მოიტანდნენ, მათმა მეუფებამ ბრძანა: „ძლიერ მივიკის, რომ ამ ცირკულიარულმა მიწერილობამ ამდენი მითქმა-მოთქმა გამოიწვიო საზოგადოებაში და, სამწუხაროდ, სამღვდლოებაში. ჩვენ გვიკვირს ზოგიერთების მისაზრება, ვითომ ამ ჩვეულების მოსპობა ხალხისათვის ეკანონომურად მასწავლებელი იყოს, და ისიც, თითქმის ჩვენ ვითხოვდეთ სამღვდლოებისა და საზოგადოებისაგან იმისთანა რამეს, რის ასრულებაც ყოვლად შეუძლებელია! ჩვენი ცირკულიარული მიწერილობა მხოლოდ ითხოვდა სამღვდლოებისაგან, ჯეროვანად აღსრულებულიყო მართმადიდებელი ეკლესიის ტიპიკონი გარდაცვალებულთა დამარხვის შესახებ. ნუ თუ ჩვენი ეკლესიის ტიპიკონის ძალით გარდაცვალებულთა დამარხვის შესახებ საჭიროა იმისთანა რამეები, რომელთა ასრულება შეუძლებელი იყოს! ამბობენ ზოგიერთები, ვითომც ყოვლად შეუძლებელი იყოს მესამე დღეს ზოგიერთ გარდაცვალებულთა დამარ-



ხვა. მომხდარა თურმე ჩემდა სამწუხაროდ ისიც, რომ, რადგან მესამე დღეს არ გაუსვენებიათ ჰერისსუფალთ თავიანთი გარდაცვალებული, მღვდელი აღარც კი მიჰკარებია ოჯახში და ბოლოს დიდის თხოვნით დათანხმებულა და დამარხვანც დასწრებია. ამა მითხარით, როდის იყო ცირკულიარში და რა სიტყვით მოხსენებული, რომ თუ გარდაცვალებული მესამე დღეს წირვანც არ გაასვენონ, მღვდელი ნუ მიეკარებაო? სად იყო ნათქვამი, რომ თუ ვინმე ზარით გამოიტირეს, მღვდელი მოშორდეს და ჰერისსუფალი თვალთ არ დაენახოსო?! მე მივსწერე სამღვდელთაგან, რომ არ არის რიგი შემოსილი მღვდელი ჯვრით ხელში და კმევით შეეგებოს ზარით მომსვლელთ, ფარისევლურად, თვალთ-მაქცურად მომტირალი. მე ვსწერდი, რომ მღვდელმა არ უნდა დაამდაბლოს თავისი მნიშვნელობა საზოგადოების თვალში, და შემოსილი, ჯვრით ხელში და კმევით არ უნდა განამტკიცებდეს ხალხის თვალში იმ ცუდს ჩვეულებას, რომელიც ჩვენ ხალხს განათლებული ხალხის თვალში ამაღლებს და სასაცილოდ ჰხდის. ზოგიერთები-კი ამტკიცებენ, ვითომც ამ ცუდი ჩვეულების მოსპობით ზარალი ეძლეოდეს ჰერისსუფალთ და ეგრედ წოდებული „გადასახურავი“ ისპობაო. მიკვირს, საიდან გამოჰყავთ ესეთი დასკვნა, როცა ამის მსგავსი სრულებით არა ყოფილა რა ცირკულიარში და შემწეობის მოშლანც სრულებით არა გვეთქვამს რა. ნუ თუ ზარზეა დამოკიდებული გადასახურავი? ნუ თუ მხოლოდ იქ არის ჰერისსუფალთ დასმარება, სადაც ზარით სტირიან გარდაცვალებულთა?! ტყუილია. ვითომც ქართლ-კახეთში გლახთა შორის შემწეობის აღმოჩენა არ იყოს. ზარი და თვალთ-მაქცური ტირილი იქ არ არის, მაგრამ გაქირვებულ გარდაცვალებულთა დასმარება მეტიც არის იმაზე, რაც სუფევს იმერეთში. მრავალი მაღლობის წერილები, რომელთაც მე იმერეთის ეპარქიის სხვა-და-სხვა კუთხიდან ვიღებ, სრულებით სხვას მიმტკიცებენ. უმეტესობა ხალხისა დიდი ხანია შეწუხების გარდას იმერული წესით გარდაცვალებულთა დამარხვისაგან. ქალაქებში და დაბებში თითქმის მოუსპიანთ ეს ცუდი ჩვეულება. ვის გაგიგონიათ მაგალითებრ ქუთაისში ზარით ტირილი?“

მოიტანეს ცირკულიარული მიწერილობის პირი. მათმა მეუფებამ მისცა წასაკითხავად თავს-

მკდომარეს. წაიკითხა თავსმკდომარემ თითოეული მუხლი, მაგრამ არც ერთი, რომელსაც ასე დაბეჯითებით ასახელებდენ თვითონ მღვდლებიც, ამ ცირკულიარში არ აღმოჩნდა. ცირკულიარში, მაგალითებრ არის დაწერილი: „მართლ-მადიდებელ ეკლესიის ტიპიკონში, გარდაცვალებულთა დამარხვის შესახებ არის დაწერილი: მესამე დღეს მივალთ გარდაცვალებულთა ოჯახში და წავასვენებთ ეკლესიაზე გარდაცვალებულის გეგმას“. ცირკულიარული მიწერილობა, ბრძანა მათმა მეუფებამ, გაასვენებს სამღვდლო პირთა რა დროს გასვენდება გარდაცვალებული; მაგრამ სად არის ნათქვამი ან დაწერილი, რომ თუ რაიმე საპატიო მიზეზით ვერ ხერხდება, გარდაცვალებულის მესამე დღეს გასვენება ანუ ეკლესიაზე მისვენება, იგი უნდა მიატოვოს მღვდელმა და აღარც მიეკაროსო?! ანაირად თვითეული მუხლი ცირკულიარული მიწერილობისა განემარტა კრების დებუტატებს და იმედია, ამის შემდეგ სამღვდლოებაში და საზოგადოებაში მოისპობა ის უსაფუძვლო მითქმა-მოთქმა, რომელიც გამოიწვია ხალხის ამ ერთი მავნებელი ჩვეულების მოსპობის წადილმა.

აღვილი წარმოსადგენია, რომ ათი-თორმეტი წლის შემდეგ ეს უცნაური და მახარალბელი ჩვეულება გარდაცვალებულთა უწყსო და უმგვანო დამარხვისა ისე მოისპობა, როგორც მოისპო ქვიითინი და შემდეგ ყველანი მიიჩნევენ ამას სამარცხვინოდ და არც იკნებიან ასე თავგამოდებულნი მის მტკიცედ ასრულებანც, როგორც დღეს არიან.

მათმა მეუფებამ ბევრი დარიგება მისცა სამღვდლოების კრების დებუტატებს შესახებ მათი მოვალეობის მტკიცედ აღსრულებისა. ბევრი თქვენგანნი, —ბრძანა მათმა მეუფებამ—ჩივის, რომ საზოგადოება მათ პატივს არა სცემს. ეს მართალია, მაგრამ სამწუხაროდ არც თქვენ მეცადინობთ თქვენის მხრით, რომ ეს პატივი დაიმსახუროთ საზოგადოებისაგან. თუ მღვდელი თავის ცხოვრებით და ყოფაქცევით ვერ უმტკიცებს სამწყსოს, რომ იგი სრულებით მაღლა სდვას და განშორებულა იმ ნაკულუფევანებათა, რომელშიც ივინი ჩავარდებიან ხოლმე, რაკვირველია, ამისთანა მწყემსი საზოგადოებაში პატივს ვერ მოიპოვებს...

ყოველად სამღვდლოდ აკურთხა კრება და შინ წაბრძანდა. დებუტატებმა რამდენიმე კითხვა მოისმინეს და სადამოსათვის გადადეს კრება.

დასწრე.

წმიდა ნინოს დღესასწაულებზე კავკასიაში.

14 იანვარს ქართველთა განმანათლებელ წმიდა ნინოს დღესასწაულის დღეს, აქ ქართველების სკოლის ეკლესიაში მწირველი ბრძანდებოდა ყოვლად უსამღვდელოესი ეპისკოპოსი ვლადიკავკაისისა და მოზღოკისა ვლადიმერი, ადგილობრივ სამღვდელოების და ამავე ეკლესიის მღ. გ. ნათაძის თანამწირველობით. წირვის დროს ყოვლად სამღვდელო ვლადიმერი ზოგიერთს ასამაღლებლებს ქართულად ბრძანებდა; განიცადებე მათმა უსამღვდელოესობამ ვრცელი და მხურვალე ქადაგება წარმოსთქვა წმ. ნინოს მოღვაწეობაზე და საზოგადოდ იმ დიდს მნიშვნელობაზე, რაც შეუძლიან აღასრულოს ქრისტიანობის მოსიყვარულობით გამსჭვალულმა ქალმა საზოგადო თუ კერძო ოჯახურ ცხოვრებაში.

ნამეტნავათ მგრძნობიარედ იყო ნათქვამი დასაწყისი ქადაგებისა, როდესაც ყოვლად სამღვდელომ წარმოსთქვა:

„როდესაც ვხედავ, რომ ხალხი, ეროვნება, რომელსაც ათავსებთ ცხოვრების ქარტახილი გამოეკლია, როდესაც ვხედავ, რომ ეროვნებას, მრავალ წარმართვან დევნილს და წამებულს ქრისტეს ჯვარისათვის, საესებთ და შეუმწიკველად დაუცავს გულის სიღრმეში თბილად და ფუფუნებით გაუღვივებია ნაპერწკალი ღვთიურის სიტყვისა და ქრისტეს სარწმუნოებისა, როდესაც ვხედავ, რომ ერთი მუჟა ამ ეროვნებისა უცხო ტომთა შორის გადმოხვეწილი, აგულის საესებთ და სულის ძლიერებით, ძმურის, ერთობის მეცადინეობით და სიყვარულით სცილობს დაიკვას და განავითაროს ეს წმიდათა წმიდა, ეს საუნჯე ყოველივე ეროვნებისა, სარწმუნოებისა, ენა და ზნე ჩვეულება, როდესაც ყველა ამას ვხედავ, გული სიამოვნებით მეცხება და სასოებით მოგვისხენიებ იმ მაღლიანს ზეციით ცხებულს მანდილოსანს, რომელმაც ქრისტეს ჯვარით შემუსრა უსულო კერპთა ბატონობა და ივერიაში, თქვენს ქვეყანაში, შემოიტანა ის ნათელი და ის საუნჯე, რომელსაც ეხლა ასე სიფაქიზით უფრთხილდებით და ინახათ“...

შემდეგ დაწვრილებით მოუთხრა მლოცველთ წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში და სხვაგან.

და ბოლოს უსურვა ყველა ქართველებს ერთობა, ძმური სიყვარული და ყოველ საქმეში ისეთი წინ სვლა-წარმატება, როგორც დღემდისინაც ყოფილა. ხალხი დიდთ ნასიამოვნებთ დარჩა საყვარელ მღვდელმთავრის გულ-მხურვალე თანამოზიარე და მოსიყვარულე სიტყვით.

წირვაზე გალობდა ორი გუნდი ერთი ეპისკოპოსისა ბ-ნ ნიკიტინის ლოტბარობით და მეორე ქართული სკოლის მასწავლებლის ნ. კურდღელაშვილის ლოტბარობით. ქართული გალობა მწყობრი და სასოებითი ძალიან მოეწონა ყოვლად სამღვდელოსაც, განსაკუთრებით «შენ გიგალობ». პარაკლისის შემდეგ ყოვლად სამღვდელომ ნაბედრე ნიკით დააჯილდოვა მღ. გ. ნათაძე მის ერთგული და მხნე მოღვაწეობისათვის. შემდეგ ყოვლად სამღვდელო მიიწვიეს საერთო სუფრაზე, სადაც ადგილობრივ ქართველებს ჩვეულებად აქვთ ყოველ წელს ნინობას ერთად მოიყარონ თავი და საერთო სადილით გააერთიანონ თავისი საერთო გულის ნადები. მან სიამოვნებით მიიღო მიწვევა და ქართულ გულ-ახილ სუფრაზე გაიმართა ტკბილი საუბარი და შექცევა. აქ სკოლის გამგემ პ. ა. გოთუამ და მას მერმე ტ. ვ. ბ-ნმა კახიძემ შესაფერისად და გაუზიადებლად აღწესეს ყველა ის მამობრივი ზრუნვა-თანაგრნობა და ხელის წარმართვა, რაც ყოვლად სამღვდელოს მიუძღვის კავკასიელ ქართულთა წინაშე და საზოგადოების მხრივ მხურვალე მადლობა გამოუტყდა. ყოვლად სამღვდელომაც საპასუხო სიტყვაში თავის მხრივ სრული კმაყოფილება და სიამოვნება გამოსთქვა ქართველ საზოგადოების მოღვაწეობაზე, და უსურვა, რომ მომავალშიაც ასეთი წარმატების გზით ევლოთ, როგორც დღემდე. სადილზე შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა ბ-ნმა სკოლების ინსპექტორმა უსპენსკიმ ყოვლად სამღვდელოს წინაშე და აღნიშნა, რომ მთელს ჩვენს დირექციაში ეს ქართული სასწავლებელი სამაგალითო სასწავლებლად არის მიჩნეული როგორც სწავლა-აღზრდის მხრივ, აგრედვე ეკონომიურადაც. საპატიო სტუმრები 5 საათზე დაიშალნენ.



წარსულს 1901 წელს 26 დეკემბერს ქართულ სალიამოდანა, რომელიც აქაურ ქართულ სკოლის სასარგებლოდ იყო გამართული, წმინდა შემოსავალი აღმატება თურმე 1200 მანეთს. წლებადელი სალიამო უწინდელზე უფრო მოწესრიგებული იყო, ხალხიც დიდძალი დაესწრო და უფრო სხვადასხვაობაც ეტყობოდა. სალიამო დაიწყო ადგილობრივ სიმღერის მოკვარულთაგან შემდგარ გუნდის სიმღერით, რომელსაც ლოტბარობდა ბ-ნი კუხიანიძე. სხვაფრივ მორთულობა და მოწყობა წარსულ წლებს სჭარბობდა. სწორედ რომ აქაურ ქართველთ მცხოვრებთა ძარღვი ამ სკოლაში ფეთქავს, და ღირსეული დაწესებულება ღირსეულ მოთავეებისა და ხალხის დახმარებით სასურველად ასრულებს თავის დანიშნულებას. („სწ. ფ.“)

«მ წ ყ მ მ ს ი» კორესპონდენცია.

ჯესქში. მართალია იმის დაქადების საფუძველი არც წინა ხანებში გვექნია, რომ ფული ოფედ ყოფილიყოს ჩვენში და ამ მხრით გაქირვება და კრიზისი თავიდან ამორებული; ჯერ საზოგადოდ ქართველი და მერე ლეჩხუმელი—მეტადრე თავდაზნაურობა აბა ვის გაუფრანია ფულიანი... მაგრამ ამ უკანასკნელ წლებში კი მოამეტებულად გაქირდა ჩვენში ფული,—გაქირდა ცხოვრება. ისეთს კაცს ვერ შეხვდებით, რომელიც უფულობას და თავიანთ ყოფა-ცხოვრების დაქეითებას და უიმედო მდგომარეობას არ უჩივოდეს. ფულის სიძვირე ჩვენში არ ახალია ძველია, მაშასადამე იმდენად ვასაკვირი არაა ჩვენთვის, რამდენადაც ის გარემოება, რომ თუ კი ვისმეს კიდევ ორიოდ გროში ფული მოეპოვება, აღარ ფულობს—წინანდებულად აღარ ვადის! „ასიგნაციები“ უფრო მეტად ვადიდა წინეთ ჩვენს შინაურ აღებ-მიცემასა და ვაქრობაში, ვიდრე დღეს მეფე ფულისა—ყვითელი ოქრო!.. გავლიოს წლებში რომ მანეთად თითონ ვახვეწებდა რომელიმე საქონელს ვამყიდველი, ეხლა იმისთანას ორ მანეთად მიანც ვიფასებს და არც მოგვემს


ნაკლებ რაც უნდა ეცადოთ, თუმცა ვამყიდველს ფულის საჭიროება მუხრუჭივით უჭირებს ყელში.. ვასაოკრად ვააქირეს სოფლებებმა ყოველგვარი საკლავი საქონელი, მაგ. წარსულს წლებში რომ ხუთ შაურად ფასობდა ვარია ქათამი, ეხლა თითუბნეტ შაურ ნაკლებ ვერ იშავით. ახნარად ვასამეკრეს მსხვილ-ფხვ საკლავების ფასებიც. ასეთმა სიძვირემ კუქის საჩრო-სანოვავისამ მთლად დაამკლექა ჩვენი თავდაზნაურობის ჯიბე, რომელთაც ჯერ კიდევ ვერ მოუშლიათ მამა-მამური მდიდარი სუფრა და დაბაბისლური პურ-მარლი.

დაბს, დიდი კრიზისია ფულის; კრიზისია კუქის საჩრო-სანოვავისა; მაგრამ ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ არც ერთი იმათგანი არ არის ისე ხელმიუწდომელი, ძვირი ჩვენში, როგორც სინდისი... ეს ტალანტი რომ ოქრო-ვერცხლით იყიდებოდეს, მაქვისა და როტშნილდების მილიარდებიც რომ მისცეთ ვერ იშავით! სინდისის კრიზისი კი, როგორც მოგხსენებთ, კაკობრიობის ცხოვრებაში ყოველგვარ კრიზისზე უფრო მძიმე და აუტანელია. ფუ ეს ზეციური მართლ-მსაჯული აღარ არსებობს, აღარ მსაჯულობს ადამიანის სულსა და გულში, იმ შემთხვევაში ადამიანიც ვეღარ ადამიანობს; მისი მოქმედება-ცხოვრებაში, მისი საქციელი უფრო წაავას ველურის ცხოველისას, ვიდრე ნამდვილის კაცისას. ეს რომ ასეთა, ამას სხვათა შორის ჩვენი ეხლანდელი სინდისის კრიზისისაგან გაქირვებული ყოფა-ცხოვრებაც ასაბუთებს... უმთავრეს მიზეზად სინდისის კრიზისისა, უნდა აღინიშნოს ნივთიერის მხრით დაქეითება, ვადარიბება ჩვენი ხალხის უმეტესის ნაწილისა. ჯიბისა და კუქის დაცალიერებამ დაბადა და გამოიყვანა ჩვენის ცხოვრების მოედანზე მრავალი ორ-ფხვა ნადირნი. ეს უკანასკნელნი, რასაკვირველია, არავითარ ადამიანის ზნეობის დამამკირებელს და შეურაცხყოფელ საქციელს და მოქმედებას არ თაკილობენ ოლონდ კი სხვისი სუფრიდამ მოიტაცონ ლუქმა და თვით ჩასანსლონ. ასეთი რაინდები, რასაკვირველია იქ მკიან-თავიანთ გაუმაძღარი კუქის საწარველსა, სადაც მთ არა დაუთესია რა. ამ ჯურის ხალხს აღარ მოეპოვება აღარც სინდისი, აღარც ნამუსი, აღარაფერი ვთაკილებმა, აღარაფერის-რცხენია. დღე და ღამ მისი საზრუნველი მხოლოდ ის არის, ვისმეს რამე დასტყუოს, მოჰპაროს და თუ ამ ხერხით ფონს ვერ გავიდა,



მერე ძალ-მომრეობას მიმართვენ ხოლმე და როგორც ქორი ქათამს, ისე იტაცებენ სხვის სარჩო-საბადებელს. პატიოსანს და სინიდისიანს მკვიდრს ჩენი მპზრისას ისე ფულის კრიზისი არ აშფოთებს და აწუხებს, როგორც ის გარემოება, რომ, რამდენი ხანიც გადის, თანდათან მრავლდება ზემოხსენებული ჯურის ორფეხა ნადირნი, რომელთა გამო პატიოსანს და მშვიდობის მოყვარე კაცს თავისუფლად ვეღარ ამოუხუნთქავს. თავის მამა-პაპეული სამკვიდრო ვეღარ დაუტავს; თავისი ალალი ლუკმა თავის სუფრაზე ვერ შეტურჩენია. დიახ, სინიდისის კრიზისმა ასეთს უნუგეშო მდგომარეობაში ჩავყავენა და რომელი ღონისძიება, რომელი საშუალება გვიხსნის ამ განსაცდელისაგან, ვე მხოლოდ ღმერთმა უწყის...


ქახხსრე გელაფენა.



მ. იალბა. მიმდინარე ამა წლის 14 იანვარს აქაურმა ნიკიტის სასწავლებლის მოსწავლეებმა და უმაღლესი მეღვინეობის კურსებზე მყოფარჯიშებმა იდღესასწაულონ წმ. დიდის მოციქულთა სწორისა ქართველთა განმანათლებლის—ნინოს დღეობა. (სამოსწავლო მთავრობისაგან უკვე ნება-დართულია ქართველმა მოსწავლეებმა იდღესასწაულონ ეს თავიანთი დღესასწაული). წელს სასწავლებლის მღვდელს პარაკლისი გადავახდევინეთ, რომელზედაც თვით ჩვენ ვგალობდით. პარაკლისის შემდეგ მღვდელმა სიტყვით მოგვმართა და თან მიგვითთა ერთ-ერთ ჩვენს ნაკლულევიანებზედ, უფრო დაუდგრობაზედ, იმის გამო რომ წმიდა ნინოს ხატი აქ ეკლესიაში არ მოიპოება; ამისათვის პატიოსანმა მოძღვარმა დაგვაავადა უბეველად შევიძინოთ მომავალი წლისთვის მაინც ერთი რიგიანი წმ. ნინოს ხატი და დავასვენოთ აქ ეკლესიაში. ეს წინადადება ჩვენ დიდის სიამოვნებით მივიღეთ და ვართ მეცადინე ჩენი დაპირება სისრულეში მოვიყვანოთ.

პარაკლისის შემდეგ სადილი გავმართეთ; შევიკრიბეთ სულ 18 ქართველი კაცი და გავატარეთ საღამოს 8 საათამდე ქართული სიმღერითა და გალობით.*)

უმალ. მეღვინეობის კურსებზე მსმენელნი.



ვინ იუენენ «ზაპები» ანუ «ბაპები»?

«დაცვა იერუსალიმისა, მათი ჯვართა, მათითა პირთა გიუტობის ქრისტემან კვართი კვართალი, ოლარი, გინგლი, ფილავანი, ხელი შემოსილი ცოქასლს მღვდელს გგვის: ვანდელეს, ექს-მელექს ფარამოწაფეთა მისთა იამენ!..»

ყველამ ვიცით, რომ ჩვენმა მხარემ ბევრი განსაცდელი გამოიარა მეტადღე სარწმუნოების მხრით. მუდამ მტრების შემოსევა და ქვეყნის განადგურება ხელს უშლიდა წინსვლას... წინსვლა რა იყო, მაშადაიანობა მძლავრდებოდა და ეს ხომ წინ არავის არ გაუშვებს. ამას ზედ დამატა შინაური უთანხმოება, შური და სიძულვილი ურთიერთ შორის...

* ეს პატარა კონრესპონდენცია იალბანს, მთავარანგელებს ჩვენ ერთ ბათიმულ ქართველ მღვდელს სპექტულს. აჭარის ქართველთა სოსოვეს ამ მღვდელს, რომ ქართულად ეწინა და მათთვის გაეცნო მათ გასაკანენსაზე ეს ქართული წირვა. მღვდელმა უთხრა ამ ნებასი მოყვარე აჭარელს: „წადით თქვენ და ეგებოთ სეპელესიო წიგნები აუიღეთ ქართულ ენაზე და შემდეგ გსწარათ... გაუკვირდათ აჭარელს ამ მოძღვრის ზასუხი და გაშორდენ. ამ მღვდელს მსაკვსად მოქცეულა იალბანის ეპეკესის მღვდელად. ძლიერ უდგალოდ მიგანსნა სუეველური ამა მღვდელსა, რომ წმიდა ნინოს ხატი შევირდემს ან მაიტანეს და ეპეკესიაში არ დასვენეს... ნუ თუ მღვდელი თვითონ არ ეყო ვაძღებუელი ეპეკესიაში ჭქონდა წმ. ნინოს ხატი? მაგრამ, სამწუხროდ, ზოგეირთება ქართველთა ეპეკესიას მართლ-მადიდებელ ეპეკესიად არ რანგენენ!.. რედ.



ყველაფერს თავისი დადი დასვეს მტრებმა: სადაც კი აღვიღალ მისწვდებოდნენ, ყოველგან ძალ-დატანებით შეჭმონდათ თავიანთი სარწმუნოება, ზნე და ჩვეულება; ეკლესიებსა ჰრყენდნენ და წმიდა ნივთებისაგან სკლიდნენ... მთლად გასკლიდნენ მათ ძვირფას ხატებისა და ნივთებისაგან, რომ მოაზარებულნი ჩვენნი მეზობელნი არა, — ერთიანად აღმოფხვრიდნენ ქრისტეს სარწმუნოებას და ყველგან მაჰმადიანობას დანერგადნენ, რომ ისევ იმ მეზობლებს არა, რომელთაც მაიწოდეს დასაცვლად მისმა თანამომძებებმა მრავალი ძვირფასი ხატი, ჯვარი და ნივთიულობა: — ვინ იყვნენ და ვინ არიან ეს მეზობელნი? ესენი არიან ჩვენი თანამომძებები გვარ-ტომობითა და სარწმუნოებით სვანნი, ფშავ-ხევსურნი და სხვა მთიულნი ხალხნი და მათი მოძღვარნი, უკეთ რომ ვსთქვათ მათი „პაპები“ და „დეკანოზები“. ჩვენ ვიტყვით პირველის შესახებ.

სვანეთი, მოგხსენებთ, უფხო-უჯველი ქვეყანაა: ძველად მაინც იგი მეტად მიუღღრამელი მხარე იყო. ის შეადგენდა საქართველოს სამეფოს ნაწილს და თუ ზირად თავისუფლების დროსას ატარებდა, ეს იმ არეულობა გამო, რომელიც თითქმის მუდამ ეს სუფევდა ჩვენში. სვანეთსაც ისეთივე მღვდელნი ჰყავდათ იმ დროს, როგორც დანარჩენებს, მაგრამ ისევ იმ არეულობაში და პოლიტიკურმა ძალამ სვანეთი თითქმის გააცალკევა სხვებისაგან და რამდენიმე ხანს თავისუფლების დროსა მიანიჭა. ამ განცალკევებას არა ნაკლებ უწყობდა ხელს მისი გეოგრაფიული მდებარეობა. ეს კია, რომ იგი უკან ჩამორჩა სხვებს: სარწმუნოება სიბნელით იმოსებოდა, არეულობა, კაცის კვლა, სისხლის აღება და ძალადობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ნამდვილი მღვდლები გაჭირნენ და მათი ალაგი „პაპებმა“ დაიჭირეს, რომელთაც ეკუთვნის სვანეთში ქრისტიანობის დაცვის პატივი.

ერთ დროს თავისუფალი სვანეთი ცაგერის ეპისკოპოსს (ცაგერელ) ექვემდებარებოდა, ხოლო სადაღმშველიანო სვანეთი ცაიშისას, რომელნიც უზოგინდნენ მას (სვანთს) ნაკურთხ მღვდლებს, მაგრამ შემდეგ სამწუხაროდ, ეს დამოკიდებულებაც მოისპო. დარჩენ მხოლოდ პაპები და დეკანოზები. პაპებს ყოველთვისა ჰყავდათ შევირდები,

რომლებსაც ისინი „დიკენარს“ — ეძახოდნენ და რომლებსაც ასწავლიდნენ საღმრთო წერილსა და ეკლესიის სამსახურსა. როდესაც პაპა მოხუცდებოდა და შევირდიც გაიწოთებოდა, ამ უკანასკნელთ ჰგზავნიდნენ ეპისკოპოსთან, ანუ მიტროპოლიტთან (ცაგერსა და ცაიშს), რომელნიც ხელახსმულს აბრუნებდნენ სვანეთში. ძღვნად მიჰყავდათ ხარი. ბოლოს პაპებმა თითონ მიითვისეს კურთხევის უფლება, თავის შეხედულობით ხელსასხამდნენ „დიკენარს“ — ს პაპებად — მღვდლებად და ეკლესიასაც თავისით განაგებდნენ. ამიტომ აღვიღო წარმოსადგენია და არცაა ვასაკვირველი, თუ თითო სოფელში მათი რიცხვი 10 — 15-დღ ავიღო.

„პაპ“ (ზელა ხევში, ესე იგი თავისუფალს სვანეთში) ანუ (პაპა*) (ქვედა ხევში — სადაღმშველიანო სვანეთში) ისე იცავდა, როგორც დანარჩენნი სვანნი**) თავზედ ნაბღის წვეტიანი ქუდი, ანუ ფაფანაკი ეხურა, ტანზედ ეცვა ჭუჭყიანი შინაური ხელოვნების მსხვილი ტილოს პერანგი, რომლის საყელი კანფალი მსხვილი ძაფით იკურებოდა; ზედ შინაური ხელოვნებისვე მსხვილი მატყლის ჩოხა, მერე იმისვე შარავლი („შალბარ“) და პაიჭები; ფეხებზედ ამოკრული ჰქონდა ბაწრის შემწვობით მრგვალი ქალამნები; წელზედ ერტყა დაუხელო ტყავის სარტყელი (ლასტყ), რომელსაც მოდიდა, აღგილობრივი ხელოების, უშნო ხანჯალი ამიძებდა. ბეჭზედ კეთის თოფი „ყირიმი“ (ყირილი) ან „სტამბოლი“ ეკიდა. ყველა ეს გამაუცნობლად ხდოდა „შაპას“ უბრალო სვანისაგან. სხვა ხნავდა, პაპაცა ხნავდა; სხვა ომობდა, პაპაც ომობდა და ლაშქარს წინ უძღოდა. მაგრამ იმ დროს ის კიდევ მღვდლობდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, და ხალხში მოძღვრობდა... მასში თქვენ ნახავდით ისეთ ძალას, რომელიც ხალხს პატივისცემასა და სიყვარულს აგრძობინებდა. აი ამ უსწავლელმა მღვდლებმა, უკეთ რომ ვსთქვათ — პაპებმა დაიციეს სვანეთში ქრისტიანობა, ხელი შეუშალეს მაჰმადიანობის გამეფებას, გამოისტაცეს ხელთაგან მაჰმადიანებს წმიდა ძვირფასი ხატები და ნივთები, და მით ხალხს დაუფასველი სამსახური გაუწიეს!

*) მღვდლებს ეხლაც ასე ეძახიან სვანეთში.
**) პაპად უთუოდ გოცხთავანი უნდა ყოფილიყო.



პაპების ყოფა-ცხოვრებიდან ბევრი ღირს-შე-
ანიშნავი ხასიათის გამოკრეფა შეიძლება. მეტად-
ე საინტერესოა წირვა-ლოცვის, ნათელის, ჯგა-
რის წერის და სხვა საიდუმლოების წეს-რიგი და
ათა აღსრულება. არიან ესლაც რამოდენიმე მო-
უცებულნი სვანნი, რომელნიც წინეთ „პაპებად“
წოდებოდნენ და რომელთაც არა ადვილად
დასტოვებს ეს სახელი. სხვათა შორის, ს. მეთაქლში
მეხვედებით მოხუცებულს (ნამდვილს) მღვდელს,
ქი—გი მარგიანს, რომელიც წინეთ „პაპა“ იყო
და რომელსაც დღეს თეთრი თმა უმტკიცებს გა-
ქოცდილებას... ხსენებული მღვდლისაგან ვისარ-
ცებლეთ და მოგვყავს ორიოდ სიტყვა პაპების
დასახსიათებლად.

სვანეთში რუსეთის მთავრობის დაწყებების
შემდეგ თანდათან იგზავნებოდნენ ნამდვილნი
მღვდელნი, რომელნიც ხალხმა და პაპებმა ექვის
თვლით მიიღეს და დევნაც დაუწყეს. დევნა ხში-
რად აშკარაც იყო. მაგალითისათვის საკმარისია
გაიხსენოთ მოკვლა მესტიელებისაგან ხსენებული
მღვდლის მამისა, რომელმაც იკისრა ახლად მოს-
რულ მღვდელთა გაცილება და ბინაზედ მიყვანა.
—მართალია, პაპებს ამ დროს იმდენი უფლება
და გავლენა აღარა ჰქონდათ და ვერც ჰმდავდენ
წეს-რიგის მაინცა და მაინც აშკარად დარღვევას,
მაგრამ მიუხედავად ამისა ისინი ხშირად ჩუმად
მოქმედებდნენ და თავიანთ უფლებებს მთლად არ
ჰკარგავდნენ. ბოლოს ესეც მოისპო და ისინი
ქალაულებურად შეურიდნენ თავიანთ ბედს.

რას ხმარობდენ ხაზუბა სეფაიკვრად, ზედაშად და
სამაქუდად?

პაპებს სეფისკვერისათვის ბეჭედი არა ჰქონ-
დათ; ბეჭდის მაგიერად გამოცხობამდე სეფისკვერს
ჯვარის სახეს გაუკეთებდნენ და შუაში მარილის
კენიტს ჩასდებდნენ. ზედაშად არაყსა, რანგსა (თაფ-
ლისაგან კეთდება) და წყალს ხმარობდნენ, ბარ-
ძიმის მაგიერობასა სწევდა ხის ანუ სპილენძის
კათხა; ფეშხუმით ხისა ანუ სპილენძისა იყო; ვარ-
სკვლავი ხისა, სპილენძისა და რკინისაგან კეთ-
დებოდა; ლახვარი რკინისა, დაფარები კი ჩითი-
სა; ოდიკი სრულებით არა ჰქონდათ. ჩითის ოლა-

რი და ფილონი მოყვანილობით თითქმის წაგა-
დენ ეხლანდელს. სამკლავები ძვირად იცოდნენ.
სტიხარი და სარტყელი არა ჰქონდათ. გინგილას
მაგიერ „ლიაკენები“ ჩითის ნახევებს გადაიდებდენ
ხოლმე მხარზედ და ვისაც სიღარიბისა გამო ესეც
არა ჰქონდა—საკუთარს ლეკვერთხს შეიხსნიდა და
იმისა ხმარობდა.

მლ. ი-ნე მარგიანი.

(შემდეგი იქნება)



მ რ ი ღ რ მ.

სიცოცხლით სავეც ქაბუკი
შესტრფის ქვეყანას, შებარის,
მისს მნახველს მჯავრი, ნაღველი
გულთაგან გარდაეყარის.

ქვეყანა შვენის ამ ქაბუკს,
და ეს ქაბუკიც ქვეყანას,
ბუნების სრული ქნაილება
უყვარს და მოსწონს სულყველას.

არ მიაჩნია ცა ქუთად
და დედა მიწა ქალაზნათ,
ყბელთან ყბელია, თავმდაბალს
უწვევს ძმობასა თავმდაბლად.

უნაკლულია ყოვლითურთ,
თავი შვენება—სიუხვის,
ყოველგვარ კეთილ საქმესა
მეთაურობს და წინ უძღვის.

ყოველ მეგლიშში ის იქერს
უპირველესსა ალაგსა,
მშობლის იმედი, ეტყობა
გაღუზხის მშობელს ამაგსა...

გიორის ფერს მერანს ეს შვენის
მერანიც კიდევ ამას,
ჯერ ყველა ამას კითხულობს,
და მერმე მისს დედა-მამასა.

თმა ხუკუქუ—წარბებ გიშვრა,
წამწამ ხშირი და შავ-თვალა,
ყველა ამ ჯურის არსება
ამისი ეშხით დამთვრალა.

ნახნი, ნარნარნი, კეკლუცნი,
სატრფო, საამო ქმნილება,
მისს ანდამატურს არსებას
უნებლივ ემორჩილება.

ამბობენ: მაღლი შენს გამჩენს,
ვინც შეგქნა ამისთანაო,
კურთხევა მშობელს, აკვანთან
ვინაც გიმღერა ნანაო.

მაგრამ რა? წუთი სოფელი
არის კი მისანდობელი?
საწუთრო კაცს არ დაინდობს,
წარმავალია ყოველი.

შეუმჩნეველად მიარბიან:

წელნი, თვე, ღღე და ღამები,
ახალი ძველად იქცევა,
ძველს სულ ელვება წამები.

დაბერდა იგივ. ქაბუციკ,
სახე აქვს გულის საკლავი!
მიწას დაყურებს, სულ თვალ-წინ
უღვას მას მისი საფლავი.

ჩიფჩიფით ამბობს: „რა არის
წუთის სოფელი წყუელი?
თითაქოს, რომ სტუმრად ყოფილხარ
ერთ-ორ ღღეს საღმე წვეული.

ღღეს რა ვარ წინანდელისა?—
არც ღანდი, არცა აჩრდილი!
სიკვდილის შეფრთხი, ეს მიჯობს,
ესლა ჩემი წადილი“.

მართლაც, რომ იმის სიცოცხლე
ტანჯვა იყო და წამება,
სჯობდა ას წილად ამ ქვეყნით
იმისი გარდაცვალება.

თუმცა კი, ბებერისათვის
არ არის სათაქილები,—
საცოდავს: არც წინ, არც უკან
ღარ გააჩნდა კბილები.

თეთრს თმაში, წვერსა და უღვას
სიყვითლვ ეძალებოდა,
ღამჯდარს უჭირდა ადგომა
ერთს საათს ეწვალეობდა.

სიცილით ეუბნებოდენ
პატარა სოფლის ბიჭები:
ბაბუა! აბა გვიჩვენე,
თუ ამოგივდა კიჭები?..

ბებერიც პასუხს აძლევდა:
განა დამცინით თქვენაო?
ღმერთმა თქვენც მოგკეთ, ამ ქვეყნად
რაც მე მენახოს ღხენაო.

მეც ისე დავეკურტრეშებდი,
როგორც თქვენ ჩემს წინ ღღესაო,
ღმერთმა, უღროოდ გაშროთ:
მჯავრი, ოხვრა და კენესაო.

მაგრამ, მოვა დრო, თქვენც ასე
მოიკუტებით წელშიო,
ველარ გადადგამთ ერთ ბიჯს, თუ
ჯოხი არ გექნათ ხელშიო.

მაშინ კი, არც თქვენ გექნებათ,
როგორც მე არ მაქვს კბილები,
და თქვენც სიცილსა და გაყრის
თქვენივე შვილი შვილები.

რ. სავაოხელი.

რუსეთის სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვა 1901 წ.

ფინანსთა მინისტრის მიერ წარდგენილი ხარჯთ-აღრიცხვიდან ჩანს, რომ მომავალი წლის სახელმწიფო შემოსავალ-გასავალი გამოანგარიშებულია შემდეგი: ჩვეულებრივი ხარჯი: გადასახადები სახელმწიფო ვალის გამო—286,459,713; სახელმწიფოს უმაღლესი დაწესებულებანი—3,080,667; უწმიდესი სინოდის უწყება—27,954,151; სამინისტროები: საიმპერატორო კარისა—15,715,243, გარეშე საქმეთა—5,867,350, სახმედრო—322,638,537, სახალხო—98,318,984, ფინანსთა—335,188,430, მიწად-მოქმედებისა—43,242,831, შინაგან საქმეთა—93,187,205, სახალხო განათლებისა—36,624,312, გზათა—435,547,758, იუსტიციის—47.392,598, სახელმწიფო კონტროლი—7,638,860, ცხენების მომშენებელ მთავარ გამგებობის—2.046,642, იმ

შემთხვევისათვის, თუ სურსათმა და საქონლის საკვებმა აიწია—3,000,000, აღრიცხვაში შეეტანელი ხარჯები: სავანგებო საქიროებისათვის—12,000,000; სულ ჩვეულებრივი ხარჯი—1,775,913,481.

არა ჩვეულებრივი ხარჯი: ციმბირის რკინის გზის გასაყვანათ—12,450,203, იმ საქმეების დასამარებლად, რომელთაც ციმბირის გზასთან აქეთ კავშირი—3,348,022, სხვა გზების გასაყვანათ—149,870,200; იმ კერძო პირთა და დაწესებულებათა დასაჯილდოვებლად, რომელთაც პროპანაციის უფლება ჩამოერთვათ—5,000,000, ამ რიგად არა ჩვეულებრივი ხარჯი—170,657,495 სულ ხარჯი—1,946,571,946.

ჩვეულებრივი შემოსავალი: პირდაპირი გადასახადი—130,493,826. ბაჟი—387,127,600, საზღვარ-გარეთიდან შემოტანილ საქონლის ბაჟი—91,999,061, მთავრობის რეგალიები—521,724,000, ხაზინის ქონებანი და თანხანი—508,414,998, სახელმწიფო მამულების გაცემა—767,902, გლეხთა გამოსასყიდელი გადასახადები—86,431,000, სახელმწიფო ხაზინის ხარჯის ანაზღაურება—67,529,847, სხვა-დასხვა შემოსავალი—6,296,158, სულ ჩვეულებრივი შემოსავალი—1,800,784,482, ჩვეულებრივი რესურსები; სახელმწიფო ბანკში შენახული თანხა სამუდამოდ—1,800,000, სახელმწიფო ხაზინის თავისუფალ ფულიდან—143,987,494, სულ—1,946,571,976.

ჩვეულებრივი შემოსავალი ჩვეულებრივ ხარჯს აღემატება—24,871,001 მანეთით და საფინანსო წელიწადი ისევ უდევსიტრად სრულდება, როგორც წინა წლებში, მიუხედავად წარმოებაში გამეფებული კრიზისისა და შიდა გუბერნიებში საგრძობო ბული მოუსაველობისა. პირიქით, მოსალოდნელია, რომ მომავალ წელსაც შემოსავალი ბევრად გადააჭარბებს გასავალს, როგორც ეს დაჩემდა რუსეთის ბიუჯეტს უკანასკნელი ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში და საიდანაც შედგა სახელმწიფო ხაზინის თავისუფალი ფული, რასაკვირველია, ბიუჯეტის ასე კეთილად შესრულება ერთი მხრით რუსეთის ქონების ზრდით აიხსნება, რაც მაჩვენებელია მისი მეურნეობის უფრო და უფრო კაპიტალისტური ხასიათის მიღებისა...

ქურნალ-გაზეთიმიდან.

ქურნალ. «ვესტნიკ ვეროი»-ს იანტრის წიგნის შინაური მიმოძილველი იხილავს რუსეთის ცხოვრებას 1901 წელს. ავტორი უმთავრესს ყურადღებას აქცევს სწავლა-განათლების საქმეს და ამბობს, რომ გასულ წლის აქტივში უნდა ჩაიწეროს «საშუალო და უმაღლეს სკოლის რეფორმის იმედია»; თუ განზრახული ცვლილებანი განხორციელებულ იქნება, 1901 წელი დაუეოწყარი დარჩება რუსეთის ისტორიაშია. სხვაფერი ავტორი განავრძობს:

«განზრახულია ქალაქის თვითმმართველობის დებულების გადასინჯვა, მაგრამ საეჭვოა, რომ ეს გადასინჯვა ამ დებულების სუსტ მხარეებს შეეხოს; უფრო მოსალოდნელია, რომ ყურადღებას მიაქცივენ მის საუკეთესო ნაწილს. იმპერიის განაპირა ქვეყნებში თუმცა აპირებენ საერობო დაწესებულებათა შემოღებას, მაგრამ სრულიად სხვა ხასიათისა და ტიპისა, ვინემ რუსეთის შიდა გუბერნიებშია; სახელდობრ, განზრახვა აქეთ გამოსკიდონ «ადმინისტრატული დეცენტრალიზაცია», რომელმაც თვითმართველობისა და თვით-მოქმედების მაგეირება უნდა გასწიოს. გლეხთა შესახებ კანონ-მდებლობაში არაფერს ცვლილებას არ მოველით, ხოლო თუ რამე შეიცვალა, ისევ ადმინისტრაციის ავტორიტეტის გაძლიერება იქნება. ბეჭდვითი საქმეც უცვლელად რჩება... ერთის სიტყვით, როგორც წინადაც, ჩვენს ცხოვრებაში ადმინისტრაციის ძალა და მნიშვნელობა ემატება, საზოგადოება კი ჩრდილშია, ისევ უსუსურ ბავშვის მდგომარეობაში»...

*
**

როგორც ფრანგული ვაჭრები გადმოგვცემენ, პარიჟის ერთ საავადმყოფოში მომკვდარა ვაჭრების დამტარებელი, რომელიც იმპერატორ ნაპოლეონ მესამის უკანონო შვილი ყოფილა თურმე. დედის სიკვდილის შემდეგ ამ დამტარებელს დარჩენია 400,000 ფრანკი, მაგრამ მალე უკაბეიკოდ დარჩენილა, რადგანაც ის ბანკი, სადაც ფული შეტანია, გაკორტებულია. სხვა საქმე რომ ვერაფერი მოუხერხებია, იმპერატორის შვილი ქუჩებში ვაჭრების ყიდვას შესდგამია. ბოლოს დროს იგი «Francais»





რედაქციოში მსახურებდა დამტარებლად. დღეში 2 20 კ. იღებდა. საწყალი ქლექისაგან მომკვდარა. დამტარებელი საოცრად ჰგვანდა თურმე თავის მამას. იმპერატორს ნაპალეონ მესამეს.

*** ***
ამერიკელ მილიონერს კორნეჯს 19 მილიონი მანეთი კიდევ შეუწირია ახალ უნივერსიტეტის დასაარსებლად. ეს ფული კორნეჯს შეერთებულ შტატების მთავრობისათვის გადაუცია, მაგრამ მას არ მიუღია, რადგანაც ფული ფოლადის ტრესტიკ-ს აქციებადაა, ხოლო, მოგვსენებათ, მთავრობა წინააღმდეგია ტრესტებისა და ეხლა არა ჰსურს იმის აქციების პატრონი იყოს. უნივერსიტეტის დაარსება მაინც არ შეფერხდა, რადგანაც კერძო კომიტეტი შესდგა, რომლის წევრებადაც პოლიტიკოსნი, მოსამართლენი, მეცნიერნი, მასწავლებლენი და სხვანი არიან, კორნეჯის შეწირულება აი ამ კომიტეტს გადაეცა. არა გვეკერა, ამ შესანიშნავმა ქველმოქმედმა რომ ჩვენი გაჭირვება გაიგოს, ცოტაოდენი დახმარება არ გაევიწიოს...

*** ***
გერმანელნი თავისას არ იშლიან. თითქმის ყოველ დღე პოლიცია პოლონელთა სახლებსა ჩხრეკავს, ვგებ დღლატი ან სხვა რამ აღმოვაჩინოო. ვრემენში პოლიციას თითქმის ყველა პოლონელის სახლი გაუჩხრეკია. სხვათა შორის „დაუპატიმრებია“ 27,000 ღია წერილი, რომლებზედაც ამას წინად მომხდარი ვრემენის ამბები ყოფილა დახატული. არც პოლონელები არიან გულ-ხელ დაკრფეილნი. მათ უკვე მოაგროვეს 150,000 მარკა დასჯილ პოლონელთა სასარგებლოდ.

*** ***
ამერიკელ მილიონერის ქვრივს სტანდფარდს სან-ფრანცისკოს უნივერსიტეტისათვის 60 მილიონი მანეთი შეუწირია. ამავე უნივერსიტეტისათვის უჩუქებია მშვენიერი სასახლე, რომელიც სამდენსამე მილიონ მანეთადა ღირს თურმე. ამ უხვ შეწირულების წყალობით სან-ფრანცისკოს უნივერსიტეტი უმდიდრესი უნივერსიტეტია მთელ დედა-ამიწის ზურგზედ.

*** ***
ბევრს ლაპარაკობენ სერბიაში გარდაცვალებულ მეფის მილანის პოლიტიკურ ანდერძის შესახებ. დღემდე საიდუმლოდ ინახავდნენ ამ ანდერძს, მაგ-

რამ ეხლა ერთს გაზეთს შეუტყვია შინაარსი. აი, სხვათა შორის, რასა სწერს მილანი თავის ანდერძში: «შვილო ჩემო, ნუ ენდობი ნურავის, გძულდეს ყველანი. ჩემი შეცდომა ის იყო, რომ პატიოსნება მწამდა. გახსოვდეს, რომ ამ ქვეყნად პატიოსნება არ არის. ყველანი, ვინც კი შენ გახვევიან, მოაღლა ტენი და გამოიდევნი არიან. შვილო, ეცადე ჩვენის სახელისა და ტახტის ამაღლებას. სიმდიდრე—ძალაა, ურომლისოდაც ვერაფერს გააწყობ. აი, ამიტომ უნდა შეერთო მდიდარი ქალი. სავარეო პოლიტიკაში მაგრად მოიქეცი. იქონიე მეგობრული განწყობილება ავსტრო-უნგრეთთან, ნუ შეუშინდები რუსეთის მუქარას. თუ ავსტრო-უნგრეთი მხარს დაგიჭერს, რუსეთისა ნუ შეგეშინდება. ჩემს ქალადღებში ნახავ პროექტს ბალკანის ფედერაციისას. ეცადე, ეს პროექტი მიიღონ ავსტრო-უნგრეთმა და გერმანიამ. მაშინ სერბიის მომავალი უზრუნველყოფილი იქნება.»



წმ. მიტქელთა სწორი ქართულთა განმანათლებელი ნინო. სსსება მისი 14 ახვარს.

ახალი ამბები და შენიშვნები.

* * * ქუთაისის ცნობილ ვაჭარს, სტეფანე ფეიქაროვს ქუთაისში გამართული აქვს დიდი საწყობი ყოველგვარ სამეურნეო იარაღებისა, რომელნიც მან ამერიკიდან გამოიწერა. ეს სამეურნეო იარაღები სწორედ ისეთებია, როგორც შეეფერება იმერეთის ნიადაგს და ამიტომაც იმერეთის მემამულენი სიამოვნებით ყიდულობენ ამ იარაღებს. ხალხში რომ უფრო გავრცელოს ეს იარაღები, პატივცემულმა ვაჭარმა ზოგიერთ სოფელში იჯარით აღიღო მიწა-წყალი და იქ ამ იარაღებით შეამუშავა ნიადაგი და დათესა ხორბალი, სიმინდი, ღომი, ფეტვი და სხვა-სხვა ამ დღეებში ქუთაისის ბოროს ვალმა ნაწილში, სილაზე ბ. ფეიქაროვმა გამოიტანა საღერდი მანქანა, რომელსაც ერთი ცხენი უბია, და დერღავს სიმინდს და სიმინდის ნაქურჩალას. ფუთი სიმინდის და ფუთი ნაქურჩალის დაღერღვა ღირს ერთი შაური. მანქანის ფასიც იფთია. („ცნ. ფ.“)

* * * „ზრავიტელ ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია: «რვა მარტს, 1898 წელს, ჯურსკში. ზნამენსკის მონასტრის სობორში აფეთქებით დაუნგრევიათ ქვისა და ხის კიბის საფეხურები, რომელიც სასწაულ-მომქმნელის მშობლის ხატთან იყო გაცემებული, ამასთანავე დაზიანებულია მოაჯირი და ხატის თავზედ გაცემებული ტლაფარი. ადგილის გასინჯვით აღმოჩნდა, რომ აფეთქება მოესდინათ ბორატ-განზრახულებით. 1901 წელს შემოდგამაზედ აღმოაჩინეს და დაატუსაღეს დამნაშავენი ანატოლი უფიმიცევი—20 წლისა, ლეონიდა კიშკინი 21 წ., ვასილ კამენევი 22 წ. და ანატოლი ლატუგინი 21 წლისა; ყველა ამათ აღიარეს თავისი დანაშაულობა. გამოკითხვამ აღმოაჩინა, რომ აფეთქება მოუხდენიათ უფიმიცევის წინადადებით, რომელსაც ეგონა, რომ ამითი შეარყევდა ხატისადმი ხალხის რწმუნებასა და თავყანისცემას. თავისი განზრახულება უფიმიცევა გაანდო კიშკინს, კამენევს და ლატუგინს, რომელთაგან პირველი დაეხმარა ასაფეთქებელი წაშლის მომზადებაში, ხოლო მეორემ მოიპოვა საათი, რათა აფეთქება მომხდარიყო დანიშნულს დროზედ, როდესაც საფეთქებელი იარაღი მზად იყო უფიმიცევა და კიშკინმა, რომელთაც ლატუგინიც ახლდათ თან,

7 მარტს საღამოს ლოცვის დროს მოიტანეს სობორში ეს იარაღი. კიშკინი მიუახლოვდა ღვთის მშობლის ხატს და შეუშინველად დასდო იარაღი ხატის ძირში. იარაღი ბამბაში იყო გახვეული, რომ მანქანის კაკუნი არავის არ სმენოდა და იმ ანგარიშით იყო მანქანა მომართული, რომ იარაღს უნდა ეფეთქა ღამე, ორის ნახევარზე, როდესაც ტაძარში ღვთის-მსახურება არ არის ხოლმე. გამოძიებამ დაამტკიცა გულუბრები ჩვენება ბრალდებულთა. ხელმწიფე იმპერატორმა 26 დეკემბერს 1961 წელს ბრძანა, რომ ბრალდებულთ ჩათვალოს სასჯელში ის დრო, რაც ისინი აქამდის დატუსაღებული იყვნენ და პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ გაიგზავნონ უფიმიცევი აკოლინის ოლქში ხუთის წლით, ხოლო კიშკინი, კამენევი და ლატუგინი—აღმოსავლეთ ციმბირში, პირველი ხუთის წლით, დანარჩენი ორი-სამის წლით“.

* * * ბაღდადის გზის კონცესია გასცეს 99 წლით; იგივე 99 წლის ვადა დანიშნული კონცესიის სამოქმედოდ არსებულს გაიდარ-ფაშა-ანგარის გზაზე, რომელიც უნდა იანგარიშონ ბაღდადის გზის კონცესიის გაცემის დღიდან. ეს გზა დაიწყება კომიტაში, გაივლის ბაღდადზე და გათავდება სპარსეთის ყურსთან, იმ ალაგს, რომელსაც შემდეგში საერთოდ დანიშნავენ. გზის შესაკეთებლად სპარსეთის ყურსა და სტამბოლს შუა მთავრობამ ყოველ წლივ უნდა გადაიხადოს ოც-დაათი წლის განმავლობაში, საზოგადოების სასარგებლოდ 350,000 ფრანკი; გარდა ამისა კიდევ 350,000 ფრანკი ყოველ წლივ კონცესიის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში მომეტებულ ხარჯის დასაფარავად. ბაღდადის გზა თავის მტოვებით სიგრძით იქნება 2,500 კილომეტრი.

* * * 12 იანვარს საქართველოს ეგზარხოსი აღექვა გამგზავრა სიღნაღის მახრაში, ბოდბის წმ. ნინოს მონასტერში, სადაც 13 იანვარს აკურთხა ახალი ეკლესია წმ. იუვენალის სახელისა; ხოლო 14 იანვარს, წმ. ნინოს დღესასწაულ დღეს, შეასრულა წირვა მონასტრის ტაძარში.

* * * ქუთაისის სახაზინო პალატას განუზრახავს აავოს ქუთაისში საკუთარი შენობა და, როგორც გამოგვეცეს, საკირო ალაგის შესაძენად და სახლის ასაშენებლად გამოუთხოვია 100,000 მანეთი. ამ ეამდ სახაზინო პალატას სახეში აქვს სახლის ასაშენებლად სამი ალაგი ბ. დ. ჩიხვაძისა—კახაკვის



ქუჩაზე, ბ. ინჯიას—გენერლის ქუჩაზე და ბ. პრინციას, ოლდენბურგის ქუჩაზე, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ გადაუწყვეტია—რომლის შექმნა უფრო ხელსაყრელი იქნება პალატისათვის. ამ ულიდან ქუთაისის სახანო პალატის მოხელეთა რიცხვი, ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, უნდა შემცირდეს; სამაგიეროდ, განზრახვა აქვთ ჯამაგირი მოუმატონ ზოგიერთ მოხელეებს—ბუხგალტერის ღ. სხ. («ც. ფ.»)

* * * უშუალოდ წინადადება მიუკუთვნება ყველა საეპარქიო მმართველობათათვის გამოსძებნონ საშუალებანი და მოუმატონ ჯამაგირები საეკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებელთ. მასწავლებელ მამაკაცს უნდა ეძლეოდეს წელიწადში არა ნაკლებ 300 მანეთისა, ქალს—არა ნაკლებ 120-სა.

* * * ტფილისის სასულიერო სემინარიაში ამჟამად სულ 170 მოწაფეა, აქედან ქართველ მოწაფეების რიცხვი 92-ია, დანარჩენი მოწაფეები კი რუსები, ბერძენები და აისორები არიან. «ივერია»

* * * ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის რუსულის ენის მასწავლებელი ბ. მიხ. ფხალაძე ბ. სინოდის ობერ-პროკურორის მიერ დანიშნულ იქნა ქუთაისის სასულიერო სემინარიის მათემატიკის (ალგებრა, გეომეტრია, ფიზიკა) მასწავლებლად. ბ. ფხალაძემ ამ ორი წლის წინ დაამთავრა კურსი ყაზანის სასულიერო აკადემიაში ღვთის მეტყველების კანდიდატის ხარისხით.

* * * სათანადო დაწესებულებებში კითხვა აღძრული, მაჰმადიანები გამოიწვიონ ჯარში იმის ნაცვლად, რომ გადასახადი იხადონ. ამასთანავე განზრახვა აქვთ, თათრებისაგან შეადგინონ ცალკე პოლკები და ბატალიონები.

* * * 20 იანვარს, საქართველოს ახალმა ექსარხოზმა ალექსიმ პირველად სწორა სიონის ტაძარში.

* * * ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორმა ფინლანდიის სენატის წინაშე აღძრა საკითხი იმის შესახებ, რომ საქორღო ხედავს თუ არა სენატი ყოველ იმ პირს, რომელსაც სახელმწიფო სამსახური სურს ფინლანდიაში, მოეთხოვოს რუსულის ენის ცოდნის მოწმობა?

* * * ამ დღეებში დაიწყება სხდომები განსაკუთრებულის კომისიისა, რომელმაც უნდა განიხილოს პროექტები უმაღლეს სწავლის რეფორმებისა და უმაღლეს სასწავლებლების როორგანიზაციის შესახებ.

* * * დაარსდა კომისია, რომელსაც დაევალა განიხილოს პროგრამები და წესები უმაღლეს სამეურნეო სასწავლებლებისა, რომელნიც მიწადმოქმედების სამინისტროს ექვემდებარებიან.

* * * ამას წინდ მისსიონერთა ერთ-ერთ კრებაზე მ. ა. სტახოვიჩმა ძლიერი სიტყვა წარმოთქვა სარწმუნოების თავისუფლების შესახებ და დაჰკმა ძალ-მოძრება და სასტიკობა მწვალებლების მიმართ. ამის გამო რეაქციონერმა გახეთქება დევნა დაუწყეს «თავისუფლოდ მოაზრე» სტახოვიჩის და, როდესაც იგი მალე ორიოლის საგუბერნიო კრებამ თავდაზნაურთა წინამძღოლად აირჩია, გამოაცხადეს სტახოვიჩის დამტკიცება ამ თანამდებობაზე ყოველ შემუშდებელით. მაგრამ იმედ და მოლოდინი გაუტყუდათ: გახეთქები იტყობინებთან, რომ უმაღლესმა მთავრობამ სტახოვიჩი დამატკიცა გუბერნიის თავდაზნაურთა წინამძღოლად.

* * * შავი ჭირის საწინააღმდეგო კომისია აცხადებს: «ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი დებეშვი იტყობინება, რომ 8 იანვარს ბათუმში აღმოაჩინეს საეჭვო ავადმყოფი, რომელიც 9-ს უკვე გარდაიცვალა; მას შავი ჭირის ნიშნები ჰქონდა. როგორც კი აღმოაჩინეს ავადმყოფი, მაშინვე გადაიყვანეს საავადმყოფოს განსაკუთრებულს განყოფილებაში; სახლს, რომელშიც ის სტავრობდა, ალყა შემოარტყეს, ხოლო მის მახლობლებზე სამკურნალო ზედამხედველობა დააწესეს. ვანკარგულემა გაიკა, რომ საქმიო ზედამხედველობა დაწესდეს გემებზე, რომელნიც აქედან გადიან. ზედამხედველობა დაწესდა აგრეთვე რკინის გზით მოგზაურების შესახებ. სხვა ამგვარი ავადმყოფი ჯერ არ აღმოაჩენიათ.»

* * * ამიერ კავკასიის რკინის გზებზე, როგორც «კვლ-»-ში ვკითხულობთ, გამოცხადებულია გზათა მინისტრის ბრძანება, რომ როდესაც სადგურებზე რკინის გზის ადგილობრივი ექიმები არ არიან, სადგურების, დგოს და გზის ნაწილის უფროსებმა უნდა გამოიწვიონ ხოლმე მძიმე ავადმყოფთათვის მესობლად მყოფი ექიმები, ბებია ქალები და ფერწლები; აგრეთვე გარეშე ექიმებიც, სადაც კი შესაძლებელია და რომ სადგურებზე გამოკიდებული იყოს განცხადება, რომელშიაც აღნიშნული უნდა იყოს მახლობელი ექიმების გვარები.



* * რკინის გზის უფროსის ბრძანებით, სამუდამო დათხოვნილია სამსახურიდან განჯის დეპოს ზეინკალი მიხ. რაზბეგაევი, რომელსაც ქვა უსვრია თავის უფროსისათვის. რკინის გზის უფროსი თხოვს თავის ხელქვეითთ, სხენებული ზეინკალი არასოდეს სამსახურში არ მიიღონ.

* * იმავე უფროსის განკარგულებით, შტატის მოსამსახურეთ, ხელოსნებს და მუშებს, რომელნიც სამსახურს თავს ანებებენ, უფასო ბილეთები მიეცემათ სხვის გზებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ექვს თვეზე ნაკლები არ უმსახურიათ. თაიანთ გზაზე კი მოსამსახურეთ მიეცემათ ამგვარი ბილეთები დღიდან სამსახურში დანიშნვისა, მუშებს და ხელოსნებს კი ისევ ექვსი თვის შემდეგ.

* * კავკასიის მთავარ-მმართველმა ამ იანვრის 18 გამოსცა შემდეგი სავალდებულო დადგენილება:

სტ. 1. შეკრებულება ქუჩებში, მოედნებზე, ბაღებსა, ქარვასლებსა, ვაგზლებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში ისეთ თათბირსა და მოქმედებისათვის, რომელიც ეწინააღმდეგებიათ საზოგადოებრივ წესიერებას და მშვიდობიანობას და აგრეთვე თავის მოყრა ცნობის მოყვარე ბრბოსა— აღკრძალულია.

სტ. 2. თავ-მოყრილი ვალდებული არიან პოლიციის პირველი მოთხოვნილებებისამებრ დაუყოვნებლივ დაიშაღნენ.

სტ. 3. ვინც სიტყვა-შეუბრუნებლად და დაუყოვნებლივ არ დამორჩილება პოლიციის მოთხოვნილებას, იმათ, თანახმად მე-15 და მე-16 სტ. სახელმწიფო და საზოგადოებრივის მშვიდობიანობის წესდებისა, გარდახდებთ ჯარიმა 500 მანეთამდე, ანუ დაპატიმრებულ აქმნიბიან ხუთ თვემდე. ამ სასჯელის დადგმა და დაჯარიმება, თანახმად გამდიდრებული მსველეობის წესდების მე-16 სტ. პირველი მუხლისა, მივიანდე გუბერნატორს.

სტ. 4. ამ სავალდებულო დადგენილებას ძალა ეძლევა დღიდან გამოცხადებისა. („ივერია“)

* * სენატმა განმარტა, რომ სასამართლო უწყებაში მოსამსახურეთ, მათ შორის სასამართლოს მოქაულებსაც, როცა ისინი სოფლად მიდიან სამსახურის გამო რამდენისამე საქმისათვის ერთად, გზის ხარჯი ერგებათ თითოეულს საქმეზე ცალ-ცალკეო.

* * რელაქციამ მიიღო ი. პ. როსტომაშვილის გამოცემა, წ. I შემდეგი შინაარსისა: I პედაგოგია 1) ახალი სწავლა-აზრდა 2), შიში-თავზარი და სიამოვნება-სიხარული, 3) ცხოვრებაში გამოსადეგ ხელობათა გამავრცელებელი წრე მოზრდილ ქალთათვის. II. მეურნეობა-მრეწველობა: 1) სასოფლო მეურნეობა და მრეწველობა, 2) პური და მისი წესიერი თესვა-მოყვანა, 3) ვაზი, 4) უმთავრესი პირობანი ხეხილის გამარავლებისათვის, 5) ბრკინის ვაშლი. III. ჰიგიენა-მკურნალობა: 1) ადამიანის ძვლები და მისი ავადმყოფობანი, 2) დიდგულა, დუდგულა. IV. სამეცნიერო ნაწრევი: 1) კარლობის კანონი, 2) რა არის პოლიტიკური ეკონომია?

* * „ნოვ. ობოზრ.“-ს დებუთ ატყობინებენ მოსკოვიდან შემდეგ საყურადღებო ამბავს: „გულშინ, 20 იანვარს, საღამოს 6 საათზე მოსკოვში ჩამოსულ ქართველ თავდა-აზნაურთა დებუტაციის სადგურზე მიეგებნენ მოსკოვის გუბერნიის თავდა-აზნაურთა საგუბერნიო და სამაზრო წინამძღოლნი, დებუტატები და სხვა გუბერნიის თავდა-აზნაურთა წინამძღოლნი. პირველად დებუტაცია მივიდა ივერიის ღვთის მშობლის საჯვარეში, სადაც დებუტატები ეთხოვიენ წმ. ხატს. საღამოს 8 საათზე კეთილშობილთა საქარეულობს დარბაზში დებუტაციას სადილი გაუთარდა მოსკოვის თავდა-აზნაურთაგან. საკრებულოს დარბაზში დებუტაციის მიეგება მოსკოვის თავდა-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ტრუბეცკოვი და მთართვა მას პურ-მარლი. დიდ დარბაზში, რომელიც ელექტრონით იყო გაჩრადლებული, სადილობდა 250 კაცი. თავ. ტრუბეცკოვიმ წარმოსთქვა სიტყვა და ქართველ თავდა-აზნაურობის სადღეგრძელო დალია; შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა თავ. მელიქიშვილმა და ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე პენზის გუბერნიის თავდა-აზნაურთა წინამძღოლმა ევლიჩმა, გრაფმა ს. დ. შერემეტევიმა, თავ. ლ. ს. გოლიცინმა და სხვ. სადილი გაგრძელდა ღამის 11 საათამდე. დღეს, 21 იანვარს, გაიმართება მეჯლისი“.

* * ჩვენ გვატყობინებენ, რომ საქართველოს დებუტაცია დაბრუნებისას კიევში ჩამოვლენ და იქ ლავრაში მოლოცვის შემდეგ, საადღვამოდ თფილისში დაბრუნდებიან...

* * 20 იანვარს, მოსკოვის არქეოლოგიურ საზოგადოების კავკასიის განყოფილების ხსდომაზე ამოირჩიეს მდივანი და 23 ახალი წევრი, რომელნიც დასახელებულნი იყვნენ წარსულის წლის 21 და 27 ოკტომბრის ხსდომაზე. ამასთანავე თავმჯდომარემ ბ. ლოპატინსკიმ მოახსენა საზოგადოებას, რომ ღიღმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ კეთილ ინება და თავის მფარველობის ქვეშ მიიღო საზოგადოების კავკასიის განყოფილება, ხოლო მისმა უმაღლესობამ ხელმწიფე მემკვიდრემ მიხეილ ალექსანდრეს ძემ ბრძანა, გარდაეცეს განყოფილების სასარგებლოდ 3,000 მან. სასხოვრად ღვთივ განსვენებულის მემკვიდრე ცესარევიჩის გიორგი ალექსანდრეს ძისა. კრებამ დაადგინა, ეს ფული ხელ-უხლებელ თანხად დასტავონ და მხოლოდ იმისი სარგებელი მოიხმარონ.

* * ჰაგაში ამბავი მოსვლიათ ბურებისაგან, რომ ამ უმად კაპის კოლონიაში მეტად ცუდად მიდის ინგლისელების საქმეო. კაპელი ბურების აჯანყება თან და თან ძლიერდება, უფრო და უფრო ბევრი კოლონისტი შედის ბურების ჯარშიო. დატყვევებულ სარდლების ლოტერისა და შეფერის სიკვდილით დასჯამ თვით ინგლისის ერთგული კოლონისტებიც კი ააშფოთა და ააღელვავო. ესლა დიდი იმედია, რომ ბურებმა კაპის კოლონიაში გაიმარჯვონ. ტარკასტადის ქალაქის დამცველი რაზმი თავის ნებით გადავიდა ბურების მხარეს.

* * 22 იანვარს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებამ ხმის უმეტესობით ტფილისის საბაღოსნო სკოლის გამგედ ამოირჩია მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში კურს დამთავრებული პეტრე გრიგოლის ძე ივანოვი.

* * ტფილისის მცხოვრებლებზე დარჩენილ სახელმწიფო გარდასახადის ანგარიშიდან სჩანს, რომ ეს გარდასახადი უდრის 224,000 მანეთზე მეტს. აქედან პოლიციას გარდაუხდევინებია მხოლოდ 27,000 მან. ამ გვარად ჯერ კიდევ კარგა უოფლო მცხოვრებლებზე დარჩენილი გადასახადი.

* * ხახალხო ვითხვათა გამმართველნი ძალიან შეეწრობულნი არიან იმით, რომ მეტად მცირე რიცხვი იმ წიგნებისა და შინაარსითაც უვარგისნი არიან, რომელთა წაკითხვა ნება დართულია. ახლა, როგორც «ნოვ. ვრ.» იტყობინება, საერო განათლების სამინისტროს განუზრახავს ნება დართოს, რომ სახალხო აუდიტორიებში იკითხონ ყველა ის წიგნები, რომელნიც ბიბლიოთეკა-სამკითხველოებში აქეთ.

* * ის ხმები გავთებისა და ხალხში გავრცელებული, ვითომც ყოვლად სამღვდლო ლეონიდი გურიია-სამეგრელოს ეპარქიაში გადაჰყავდეთ, მართალი არ არის.

რედაქციისაგან.

ბოდიშს ვითხოვთ ჩვენ მკითხველებთან, რომ იანვრის თვეში შეერთებული ორი ნომერი ჟურნალის „მწყემსი“-სა ერთად გამოდის. ამის მიზეზი ის არის, რომ ჩვენში ხელის მოწერა ჟურნალ-გაზეთებზე დაიწყება ხოლმე იანვრის თვეში, ამის გამო ორ კვირაში ბანდეროლების დამზადება და შეტყობა იმის, თუ რამდენი ცალი უნდა იბეჭდებოდეს ჟურნალისა, ძლიერ აწნელებს ჟურნალის პირველი ნომრის თავის დროზე გამოცემას.

დღეგმბრის ნომერთან დაურვიდა ყველა ხელის მომწერთ ჟურნალის «პრემია». ვინც ზუგდილის ფოსტიდან იღებს ჟურნალ „მწყემსს“, ისინი ამ პრემიას მიიღებენ ბ. ადამიას წიგნის მალაზიიდან.

ამ ნომერთან ეგზავნება ყველა ხელის მომწერთ სამღვდლო პირთა საქირო კალენდარული ცნობები ალბომის ფერად ქალაღზე დაბეჭდილი. დასასრულ ვსთხოვთ ყველას, თუ ჟურნალი არ მიიღონ მალე გვაცნობონ ღია წერილით.

რედაქტორი.



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობაში საინჟინერო-ტექნიკურ და კეთილ- შენებლობაში.

მოძღვრება

რედაქციის მიერ დასრულებულია, თქვენივე დასრულებულია, თქვენივე დასრულებულია, თქვენივე დასრულებულია.

დღეისათვის განთავსებულია ხარ უძღვრების-
გან შენისა (ლუქ. 13, 12).

ასე უბრძანა მაცხოვარმა ჩვენმა, როგორც
დღევანდელი სახარებიდან მოისმინეთ, ერთს საში-
ნელი ავადმყოფობით შეპყრობილ დედაკაცს. შა-
ბათი დღე იყო, მაცხოვარი ბანდებოდა ურევების
სამლოცველოში და, თავისი ჩვეულებისამებრ, ას-
წავლიდა; მწყსიდა და უქადაგებდა თავმოყრილ
ხალხს. აქ, შეკრებულბაშა, ქრისტეს მოწყალე
თვალმა შენიშნა ერთი დედაკაცი, რომელიც თვრა-
მეტი წლის განავლობაში იტანჯებოდა მტის-
მეტი მძიმე ავადმყოფობით: მთლად შეკრულ-
შეკრუნხული იყო და არ შეეძლო სწორეთ ფეხ-
ზე დგომა, წელში გაშლია, მალა ახილვა, ცის
მშვენიერების დანახვა. აი ეს საბრალოსი დედა-
კაცი მოისმო თავისთან მაცხოვარმა და უბრძანა:
დედაკაცი! განტყევეთ ხარ (განთავისუფლებულ
ხარ) უძღვრებისაგან შენისა; დასხნა (დაადო)
მასზედა ხელნი და დედაკაციც მაშინვე აღმართა,
და ვიდრე, და აღიგებდა ღმერთს. მოქმედება ქრის-
ტისი დიდად ეწყინა და სამძიმოდ დაურჩა სამ-
ლოცველოში უმფროსს, რომლის ქუითაც, თუ კი
ქრისტეს ჰსურდა ვისიმე ვანკურება, ეს უნდა
მოეხდინა მას სადაც დღეს და არა შაბათსა, რო-
მელიც არის განუტყეველი უქმი დღე. მაგრამ იესო
ქრისტემ ცხადად და გარკვევით წარმოუდგინა
თვალ წინ ამ გონება დახშულს უმფროსს და მისს

მომხრეებს მათი შეხედულების შემცდარობა, უსა-
ბუთობა და სიყალბე. ივინი დარწმუნდნენ შერატყე-
ნილი, დაეკარგათ კანდიერება და ველარფრისა-
გან ველარა მოახერხეს რა, დანარენი ხალხი კი
მიეცა დიდ სიხარულს ქრისტეს მიერ მოხდენილ
სასწაულის გამო.

ამ გვარი მოთხოვნებით მეტად მდიდარია
საღმრთო სახარება. ერთ ალავს რომ ვკითხულობთ
მაცხოვარმა აღადგინა მკვდრებით ესა და ესო,
მეორე ალაგი მოგვითხრობს ვანრდევულის ვამთე-
ლებს, მესამე ვამთელებს შობილგან ბრმის თვალ-
თა ახილვას, მეოთხე აღგვიწერს კეთორვანთა გან-
წმედას, მეხუთე ვამთელებს ქრისტეს ბრძანებით
ქარისა და ზღვის ლეღვის ჩადგომას. აქ ვცნობი-
ლობთ ეშმაკეული ადამიანისაგან ეშმაკთა ვანრდევ-
ნას, იქ ხუთი ჰურით და ორი თევზით ხუთი ათასი
სულის ვაძღომას და სხვა-და-სხვა. ერთი სიტყვით
მაცხოვარი, რომელიც იყო მოვლენიებული სუ-
ლისაგან წმიდისა მახარობელად გლახაკთა, გან-
კურნებდა შემუსვრილთა გულითა, ქადაგებდა
ტყვეთა ვანტყვებისა და ბრძანა ახილვას და ნუ-
გეშინისცემად ყოველთა მგლოვართა (ისაია 61,
1—2), ვიღრე ქვეყანაზედ იმყოფებოდა არასოდეს
არ სტოვებდა უმოწყალოდ და უნუგეშოდ მტკიე-
ნეულს, მწუხარეს, ჩაგრულს, უმედურებაში მყოფს;
გლახაკს, დავრდომილს, ვაჭირვებულს და ამ მხრივ
იესო ქრისტემ ისეთი აუარებელი, ისეთი აურაც-
ხელი სიკეთე დასდო კაცობრიობას, რომ „თუ-
ცალა ივანი (ვაჭირვებულთა სანუგეშოდ ქრისტეს
მიერ ჩადენილი სასწაულები) დაიწერებოდეს თი-
თოეულადო, შენიშნავს იოანე მახარებელი, არ-
ცალა, ვგონებ, ვითარცა სოფელმან ამან დიტიკა
აღწერილი წიგნები“-ო (იოან. 21, 25). იესო სხვა
მადალი მიხანიც, რომლის მისაღწევად ქრისტე
იჩენდა სასწაულთ-მოქმედებას: ურევებს მუდამ დღე
ესმოდათ იესო ქრისტეს ხმა მადალი და ცხადი
მოდღვრება იმის შესახებ, რომ იგი არს მხსენი
სოფლისა, ქრისტე (იოან. 4, 42), ძე დვისისა,
მოსრული სოფლად კაცობრიობის გამოსახნვლად,
მაგრამ, რადგანაც ურევები იცნობდნენ ქრისტეს
ხორციელ მშობლებს, არ სჯეროდათ ამ მოძღვრე-
ბის სინამდვილე, ეჭვის თვლით უყურებდნენ მაც-
ხოვრის მადალ ქადაგებას და ხშირად ჰკითხავდნენ
ხოლმე ამ ახალ მასწავლებელს—რასა სასწაულსა



იქმ, რათა ვიხილოთ და გვრწმუნეს შენით? (იოან. 6, 30) საპასუხოდ ამ გვარ თხოვნაზედ და გულდაუჯერებელთა დისარწმუნებლად თავის ღვათებრივ ღირსებაში, ქრისტე ასრულებდამრავალ სასწაულებს და ხშირად სთხოვდა ხოლმე მსმენელებს მიექციათ ამ საქმეებზედ ჯეროვანი ყურადღება. უკეთუ არ ვიქმ საქმესა მამისა ჩემისასა, ე. ი. თუ არ ვასრულებ ისეთ საქმეებს (სასწაულებს), რომლებიც შესრულებდებან მხოლოდ ღვათებრივი ძალით, ნუ გრწმუნან ჩემი. უკეთუ ვიქმ, დაღაცა თუ ჩემი არა გრწამს, საქმენი გრწმუნედ, რათა სცნათ და უწყოდეთ, რამეთუ მამა ჩემთანა არს და მე მამისათანა (იოან. 10, 37—38), უბრძანებდა ხოლმე ხშირად ქრისტე მის მოქმედებათა მაცურებლებს. იყვნენ ისეთები, რომლებზედაც ქრისტეს სასწაულები არ მოქმედობდნენ; ბევრი ისეთი შორით, ჭკუის სიბნელით და ბოროტებით აღესილი აღმოჩნდა, რომ ცხადსა და არა საექუო სასწაულის შესახებაც ამბობდა—ქრისტე მთავრითა ეშმაკათა განასხვავებდათა (მათ. 9, 34), მაგრამ ჭეშმარიტება მაინც უძლეველია, დღეს არა ხვალ სიმართლე მაინც თავისას იზამს, ყველა დარწმუნდება მის სინამდვილეში და იძულებული იქნება შეხედოს მას საღი თვალთ. ასე მოხდა იესო ქრისტეს სასწაულების შესახებ. თუ პირველში უფულოდ ეკიდებოდნენ ქრისტეს სასწაულებს, სამაგიეროდ შეძლებენ ხალხის მომეტებული ნაწილი სასწაულთა ხეივანის გამო ეძლეოდა გაციფერებას და ჰმოწმობდა: არა სადა ისრაილსა შორის ესრეთ გამოჰსჩნდა (მათ. 9, 33), წინასწარმეტყველი დიდი აღდგომილ არს ჩვენ შორის და მოხდენა ღმერთმან ერსა თვისსა (ლუკ. 7, 16), საუკუნიდგან არა სადა ისმა, ვითარცა აღვიწმუნებინა თვალნი შობილდგან ბრმისანი. უკეთუმცა არა იყოს ესე ღვთისგან, ვერცა რას შემოღებელ იყოს საქმედ (იოან. 9, 32—33). ამ სასწაულთ-მოქმედი ძალით შემოსა მეცხოვარმა წმიდა მოციქულები და იმის გამო, რომ ხელითა მოციქულთათა იქმნებოდა სასწაულები და ნიშები მრავალი ერსა შორის (საქმ. მოციქ. 5, 12), მრავალნი მოინადირეს ამ უბრალო შეთევზურებმა, შეიპყრეს სოფელი თავიანთი ქადაგებით და ისე განამტკიცეს ეკლესია, რომ თვით ბჭენი ჯოჯოხეთისანიც ვერ შეუვლენ მას. შემდეგ მოციქულებისაც მეცხოვარს არასოდეს

არ მოუქლია თავისი ეკლესიისათვის ეს ღვათებრივი ძალა. ჭურჭლად ამ მადლისა, გამომეტყველად ამ ძლიერებისა ქრისტე ხმარობდა და დღევანდლამდე ხმარობს თავის სათანო პირებს, წმინდანებს, მათ უხრწნელ ნაწილებს და ხატებს. თითოეული ეკლესია მდიდარია წმინდანების ნაწილებით და სასწაულთ-მოქმედი ხატებით, მაგრამ იმ გარემოებამ, რომ საქართველო ყოველი მხრილამ შეზღუდული იყო ქრისტეს სარწმუნოების დაუძინებელ მტერთა და მოძულეთაგან, ეკლესია ჩვენი ჰყო უბრწყინვალესი და უწარჩინებულესი წმინდანების სიმრავლით და ცხოველთა ხატთა აღარებლობით. ყოველი კუთხე, ყოველი მხარე საქართველოსი შექველად განათლებულია რომელიმე წმინდანის პატიოსანი ნაწილებით, ან სასწაულთ-მოქმედი ძელითა და ხატებით. ავიღოთ თუ გინდ ეს ჩვენი მუხრა თავისი გლათით და მოწამეთით. ვის არ უღებდა თვალ-წინ გელათის სასწაულ-მოქმედი ღვთის-მშობლის ხატის აღმტაცი მშვენება და არა ქვეყნიური დიდება. ვის არ მოუდრეკია მუხლი ღმობიერებით და სიმდაბლით არაგეთის მთავართა განუხრწნელ გვაშთა წინაშე? ვის შეუძლია აღნიშნოს რადენს სწეულს, დავრდომილს: განსაცდელში ჩაგარდნილს მიუღია იმ ალაგებში ნუგეში და განკურნება? ვინ იცის რამდენი მისდგომია გელათისა და მოწამეთის კართ შეწუხებულნი არა მხოლოდ აზრებით, დატვირთული მძიმე ცოდვებით დ შემდეგ გულითადაც ღოცისა, მხურვალე ვედრებისა და წრფელი სინანულისა დაბრუნებულა სახლში ბედნიერებით აღვისილინი?..

ასე, ძვირფასო მსმენელო, მეცხოვარი თავისი მადლითა და ძალით დღესაც განუშორებელია ჩვენგან. იესო ქრისტე გუშინ, და დღეს, და იგი თავად არს უკურისამდე (ებრ. 13, 8). იგი დღესაც ხმამაღლა გვიწოდებს თავისთან ტირთ-მძიმეთა და მაშვრალთა, ცოდვილთა და შეტღარითა, სწეულთა და უძღურთა, გლახაკთა და გაჭირებულთა, მწუხარებასა და ბოროტებაში მყოფთა. გაულოთ კარი სმენისა ამ ტუბოლ ხმას შეუვრდეთ სარწმუნოებით მეცხოვარსა და გვრწამდეს, რომ ყოველი ჩვენგანი სისწაფით ვიგარნობთ მისი მადლიანი მარჯვენის ძალას და ველირსებთ ამ სანუგეშო სიტყვების გაგონებას: განტყვებულ ხარ უძღურებისგან შენისაო. ამინ.

ეპისკოპოსი ლეონაია.



სიტყვა შობა დღეს.

თავანასესკემო შობასა შენსა
ქრისტე!

დღეს დღე დიდ სასიხარულო დღედ ითვლება ყველა ქრისტიანეთათვის; დღეს დღეს ვლდესასწავლობთ იესო ქრისტეს, ჩვენი მაცხოვრის შობას. დღეს აღმობრწყინდა მზე სიმაართლისა და მოედინა კაცობრიობას ნათელი ქვეშაირტებისა. ყოველს თქვენგანს თუ არა, კეთილ-მოარწმუნერო ქრისტიანერო, ზოგიერთებს, მაინც გაუგონიათ, წაუკითხავთ, თუ როგორ სიბნელეში მიყოფებოდა კაცობრიობა იესო ქრისტეს მოსვლამდე. მან არ იცოდა ვინ იყო ღმერთი, ვისთვის და როგორ უნდა ეცა თავყანი; არ იცოდა აგრეთვე, თუ როგორი დამოკიდებულება უნდა ყოფილიყო კაცთა შორის. უმეტესი ნაწილი კაცობრიობისა კერებესა სცემდა თავყანს, მცენარეებს, ცხოველებს, მნათობებს აღმერთებდა, მათ ევედრებოდა და მსხვერპლად სწირავდა ხშირად ადამიანსაც. „მატაყს სცემდენ და მსახურებდენ დახაძებულთა უფრესა დახაძებულთა“ (რომ. 1; 25) და იმდენად გონება-დახშულნი იყვნენ, არ ესმოდათ. თუმცა უმცირეს ნაწილს კაცობრიობისას, ე. ი. ებრაელებს სწამდათ ქვეშაირტი ღმერთი, მაგრამ ის თითქო საკუთრებდა მიანდათ; უწოდებდენ ღმერთს აბრაამისას, ისაკისას და იაკობისას, ღმერთს ისრაილებისას. ეგონათ ქვეშაირტი ღმერთი იმათ ღმერთად უნდა ითვლებოდეს და არა მთელი კაცობრიობისა. ამასთან ჰეიქრობდენ, რომ ღმერთი დაუსჯელად და ბატოყებს კაცს, თუ მან შესკოდა, თუნდაც ეს თავისი ცოლდა მოინანოს. ურთიერთშორის დამოკიდებულებას არ ეტყობოდა სიყვარული, ერთმანერთის გულისათვის თაყ-დადება. ყოველი კაცი თავის ინტერესებს იცავდა, ეძებდა. თუ ვინმე გცემდა ბატის, მისთვის, რომ სამაგიერო მიეღო. თუ ვისმეს რასმეს დაუშვებდი, აწყენივდი, უსათუოდ სამაგიეროს გადაგიხდიდა. მარტოკა წარმართებს, კერპთაყვანისცემლებს კი არა, ებრაელებსაც ასე ესმოდათ ცხოვრება. სიტყვებში (თეფ. 24, 20) „შეიყვარო მოყვასი შენი და შეიძულო მტერი შენი“ ნათლად ხატავენ მაშინდელ წეს-

წყობილებას, კაცთა ურთიერთშორის დამოკიდებულებას. ამასთან ზოგნი ჰეიქრობდენ, მოყვასი ჩვენი არის ის, ვინც ჩვენი ტომისა; ზოგნი მოყვასად სთვლიდენ, ვინც მათი სარწმუნოებისა იყო; სხვებს კი მტრულის თვალთ მიჩერებოდენ,

იმ დროს მთელი კაცობრიობა ორ ნაწილად იყოფოდა. ერთ ნაწილს შეადგენდენ თავისუფალი მოქალაქენი, ბატონები, მეორეს—მონები, იმათი ყმები. პირველები ისე ეყვარებოდენ მეორეებს, როგორც ცხოველებს, პირუტყვებს: უნდოდათ გაყიდიდენ, უნდოდათ დააგირავებდენ, უნდოდათ დახოცავდენ. ასე გასინჯეთ, ცხოველებს უფრო შებრალება ჰქონდათ, ვინმე მონებს. მაგ. თუ ვინმე ხარს ხენის დროს, როცა ულდეში ემა მოკლავდა, სიკვდილად დაისჯებოდა და თუ შონას, არავითარი სასჯელი არ მოკლავდა. მდიდარ მოქალაქეთა სახლების შესავალ კარებთან დღე და ღამ მონები ჰყავდათ ოთხფეხივით მიბმულნი, რათა ქორდებისაგან და ავაზაკებისაგან დაეცათ. გასართობად, დროების გასატარებლად მონებს ერთმანეთთან ახლებდენ, აომებდენ, ერთმანეთის სისხლს აღვრევიებდენ და მით სტკებოდენ. ტრაიანი საუკეთესო მოქალაქეთაგანი იყო რომის სახელმწიფოში და მის შესახებ ისტორია გადმოგვცემს, რომ 10,000 მონას უბრძანა ეომნათ, ეხლებნათ მთელი 123 დღის განმავლობაში და მით ხალხი გაერთოთ. დიდი ზღუდე ჰყოფდა მონებს თავისუფალთაგან. მათ შორის არავითარი ძმური, კაცობრიული კავშირი არ სუფევდა. პირველები თითქმის არც კი ითვლებოდენ ადამიანებად. რაც შეეხება საწყლებს, დავრომილებს, გლახაკებს, მათი შეწყალება, შებრალება ხომ არავის აღინებდა. იმათ მდგომარეობის გაუმჯობესობაზე ხომ არაფერ იტყვივდა თავს. პირქით მათ ევენებოდენ, საზრახისად მიანდათ გლახაკის შეწყობა. რომ შეგინჩია ვისმეს ნაცნობისათვის გლახაკებისადმი გულშემატკივრობა, გაიკცხავდა, სასაცილოდ აივლებდა. «ნუ თუ იმოდენად დაეცი, გლახაკებს, მათ ხოვრებს შენთან მსკლდობა აქეთ და შენგან შემწყობას იღებენ?» — კითხავდა გაბრაზებული. პლატი სწერს: „ცულ სამსხურს უწყვენ გლახაკებს; ვინც მათ შეწყობას უჩენენ, რადგან მათ მათ მდგომარეობას ხსენდავათ ჰეიფენ“. პლატონი, ვის პირველ ნასწავლთაგანი, გამოჩენილი ფილოსოფოსი იმ დროისა, რას ამბობს? „გლახაკები განდევნილნი უნდა იყვნენ



სსკეღმწიფოფაღანაჲ* . ებრაელები კიდევ იმას ამბობდნენ, რომ გლახაკები, მახინჯები ღვთისაგან არიან დასჯილნიო, ან თავის, ან დედ-მამის ცოდვების გამო (იოან. 9) და ამისათვის ღირსნი არ არიან კაცმა ისინი შეიწყალოს და მათ შემწეობა აღმოუჩინოსო. ახლა ოჯახში ცოლ-ქმარ შუა, შვილებსა და დედ-მამას შუა რა დამოკიდებულება იყო. ქმარი ბატონად ითვლებოდა, ცოლი მისი მხეველა იყო. როგორ შეეძლო ცოლს რამე წინააღმდეგობა გაეწია ქმრისათვის. არა ჰქონდა ქალს არავითარიმე უფლება არამც თუ საზოგადო საქმეებში, არამედ თვისი ოჯახის ასე თუ ისე მოწყობაში რამე მონაწილეობა მიეღო და თვისი აზრი გამოეთქვა. ასე გასინჯეთ, მამაკაცებთან ჯდომა, მითთან ერთად პურის ქმამც არ შეეძლოთ დედაკაცებს, ნამეტურ თუ ვინმე სტუმართაგანი, გარეშე კაცი შესწორებოდა. ქმრებს უფლება ჰქონდათ, როცა უნდოდათ შეეძლოთ თავიანთი ცოდვები გაეგდოთ, შიშველტიტველნი, მშვიერწყურვალნი დაეყარათ. შვილების შესახებ მამას დიდი უფლება ჰქონდა: თუ უნდოდა გაზღიბდა და თუ არა ნება ჰქონდა გადაეგდო და ვინც მას აიყვანდა, როგორც უნდოდა ისე მოეპყრობოდა. სახელმწიფოს კანონები არამც თუ სჯილდენ სასტიკ მკაცრ დედმამას, პირიქით ხელს უწყობდნენ. ლამაზ, საღ ბავშვებს ინახავდნენ, ზდიდენ; სუსტებს, მახინჯებს კი ყრიდნენ, ვითომც კატის კნუტები იყვნენ. ამაირი ჩვეულების წინააღმდეგ სრულებითაც არ იღებდნენ ხმას იმაირი გამოჩენილი ფალოსოფოსები, როგორც იყვნენ არისტოტელი და პლატონი, რადგან მათი და სხვების მოსაზრებით, მამულის მტრისაგან დასაცველად სუსტი კაცი ვერ გამოდგება, საჭიროა ჯანსაღი მეომარი, მხედარი. ამ საღი ბავშვების გაზრდისათვის კი ყველა დედები იწუხებდნენ თავს? სრულებითაც არა. თუ ვისმეს რამე შეეძლება ჰქონდა, სახსარი მოეპოვებოდა, შვილის აღზდას მოეირიდებოდა, როგორც დამამციკრებელ, საზრახის საქმეს. ქირობდნენ აღმზრდელბს, რასაკვირველია ღარიბ, დაბალ, უფიც ხალხიდან და ისინი ზდიდენ როგორც უნდოდათ. დედა შეეძლება ათასში ერთხელ დედინაცვალივით გაუღიმებდა, მოუაღერებდა თავის შვილს.

გამოცხადდა მაცხოვარი, აღმობრწყინდა მზე სიმაართისა და მოეფინა სოფელს ნათელი ქვეშარიტებისა. იესო ქრისტემ და მისმა მოციქულებმა

ამენეს კაცობრიობას: ვინ არის ღმერთი, ვინ არის ჩვენი შემქმნელი და მსახრდობელი, განუშარტეს თუ როგორ უნდა ვსცეთ თავყანი და რითი შეგვიძლია მოვიპოვოთ სიყვარული და მადლი ყოველდ მოწყალე, ყოველად კეთილ ზეციურ მამისაგან. თავის სწავლა-დარიგებაში არა ერთხელ გვიმტკიცებენ, რომ ღმერთი—ღმერთი არა ერთი რომელიმე ხალხისა, როგორც ფიქრობდნენ ებრაელები, არამედ ყველასი: არა არს ურბაება, არც წარმართება, ამბობს პავლე მოციქული, არამედ განურჩევლად შვალება ვართ ერთი დემონის, ზეცაური მამის (მა. 298. გალ. 3, 28, რომ. 10, 12; კოლ. 3, 11) ჩვენსა და ღმერთს შუა მამა-შვილური დამოკიდებულება არის; ყოველივე მისი მოქმედება ჩვენ შესახებ განუსაზღვრელი სიყვარულით არის აღბეჭდილი; თუ ვინმე შესცოდავს (და უცოდველი კი არავინ არა ვართ) და ამ ცოდვას იგბრბოს, შეინანიებს და გულმოდგინედ შეევედრება, სთხოვს პატივებს ყოველთვის მზად არის მისი ვედრება შეიწყნაროს (ლუკ. 15); ავრეთვე ახალი გზა უჩვენეს კაცობრიობას, თუ როგორ უნდა მოეწყოს მას ოჯახი და საზოგადოებრივი ურთიერთშორის განწყობილება. დედაკაცს მიენცა შესაფერი უფლება: „არ არს რჩევა მამაკაცის არცა დედაკაცის“ (გალ. 3, 28) ცოლი ქმრის ამხანაგად, თანაშემწედ უნდა ითვლებოდეს. ცოლ-ქმარი ერთ ადამიანს შვადგენსო. პავლე მოციქულის სიტყვები: „ქმართა გეუყვარდენ ცოლნი თვისნი ვითარცა ქრისტემან შეაყვარა ეკლესია და თავი თვისი მისცა მისთვის; ესრეთ ვურ არს ქმართა ცოლთა თვისთა სიყვარული, ვითარცა სორცთა თვისთა, რამეთუ რომელს უყვარდეს ცოლი თვისი თავი თვისი უყვარს, რამეთუ არცანი სდა თავი თვისი მოაქუსოს, არამედ ზრდას და ფუფუნებუნ მს, ვითარცა ქრისტე ეკლესიას“ (ევ. 5, 25—29) თვალსაჩინოდ გვიხატავენ რა დამოკიდებულობა უნდა იყოს ცოლქმარს შუა. ტყუილი უბრალოდ ქმარს ცოლის გაგდება არ შეუძლია და ავრეთვე ცოლიც მოვალეა თავის ქმარს ურჩობა არ გაუწყინოს, არამედ ყოველთვის ცდილობდეს თვისი კარგი ყოფაქცევით მისი სიყვარული და ერთგულობა დამისახუროს. „ქმართა გეუყვარდეთ ცოლნი თვისნი და ნუ გამწარდებთ მათად მიმართ; ცოლსა ქმარსა იგი თანსადავს პატავს მისცემის, ეგრეთც ცოლი ქმარს; ცოლი თვისთა სორცთა ზედა არა უფელ არს, არამედ ქმარი, ეგრეთც და ქმარც თვისთა სორცთა ზედა არა



უფად არს, არამედ ცლად“ (1 კორ. 7, 3—5). დედამას სავალდებულოდ გაუხადეს შვილების აღზრდა: **„ნუ განარასტება შვილთა თქვენთა, არამედ განსარდუნათ იგინი სწავლათა და მოძღვრებათა უფლასთათა“** (ეფ. 6, 4) გვეუბნება იგივე მოციქული. სამაგიეროდ შვილებმა უნდა გაუგონონ, დაუჯირონ დედამას: **„შვილნი შორილნი იუვენით მამადეათთა თქვენთა უფლას მთერ, რამეთუ ესე არს სამართალი“**, ამბობს იგივე მოციქული (ეფ. 6, 1). თუ წინათ ხელმძღვანელობდნენ თავიანთ დროებითი პიროვნული ინტერესებითა, მაცხოვრებ წინააღმდეგ ამისა სულ სხვანაირი დარიგება მოგვს: **„გოჟყარდეთ მტერნი თქვენნი და აჟურთსუფლით მწყევრეთა თქვენთა და კუთაღს უყოფდით მოძალეთა თქვენთა და უფლადედათ, რომელნი მძღვარდებენ თქვენ და ცდებენ თქვენ, არა წინააღმდეგ ბოროტისა, არამედ რომელმან ბნეს შენ უერამდლს შენს მარჯვენაგა მუჟუარ მს ერთ კერძოდა; იუვენით თქვენ შვილ მამას თქვენისა.“** (მათ. 5, 44, 18, 22; ლუკ. 6, 29). გაისმა ხმა: არ ასს მანება არცა აზნაურება (გალ. 3, 28), ე. ი. ის შთამოვლობითი განსვენება, გარჩევა, რომელიც ქრისტეს მოსვლამდისინ სუფვედა, უტანამოდ დასახა პავლე მოციქულმა. მონას შეუძლია იყოს თავისუფალი და აზნაური კი მონად ჩათვალოს, თუ პირველი მიიღებს სწავლა დარიგებას და ქეშმარი გზას დაადგება და მერე კი იმოქმედებს წინააღმდეგს. **„ქეშმარტემაზან განგათავისუფლენ თქვენ, ამბას მაცხოვარი, და უკლამან, რომელმან ქქმეს ცდვგა მონას იგა ცდვლის“** (იოან. 8, 32—34). გლახაკების შეწყწარება, შემწვორა სავალდებულოდ გავვიზიდა მაცხოვარმა ყველას. **„ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალანენ, ნეტარ ასს მაცემა უფროას ვადრე შადების“** (საქ. მოც. 20, 35)—სიტქვა იესო ქრისტემ. თუ რა მნიშვნელობას აძლევდა ის ამ ქველმოქმედებას, სჩანს შემოადგი მისი სიტყვებიდან: **„მშობად და მეცით მე ჭამადი, მწუჟრად და მსუთ მე, მისუელ ვიჯგ და შემოსეთ მე, სნეულ ვიჯგ და მოსუელეთ მე“** (მათ. 25, 35). რასაკვირველია მაცხოვრისათვის არავის აღმოუჩენია ეს შემწვორა, მაგრამ ისე სთვლის გლახაკების შეწყწარებას, ვითომც პირადად მისთვის გაეწიოს ეს სასახაური.

შესრულდა 1901 წელი მაცხოვრის დაბადების შემდეგ და რას ვხედავთ ჩვენ?! დაადგა კაცობრიობა იმ ქეშმარიტ გზას, რომელიც მას უჩვენა მაც-

ხოვარმა, თუ არა? ყველას სწამს თუ არა ქეშმარიტი ღმერთი? მართალია ქრისტიანობა თანდათან ვრცელდება, მაგრამ ბევრი, ჯერ კიდევ ბევრი საუკუნენი გაივლია, სანამ ყველანი ერთ ქეშმარიტ ღმერთს დაუწყებენ თაყვანის ცემას. მრავალნი არიან ახლაც წარბართები და კიდევ დიდხანს იქნებიან სიბნელეში. ბევრი კი სულაც უარს ჰყოფს ღმერთს. ზოგიერთებს არ სწამთ იესო ქრისტე მაცხოვრად, ძედ ღვთისად არ მიიჩნიათ იგი, უარსა ყოფენ მის დოგმატიურ სწავლას და წმ. საიდუმლოებს საქიროდ არ სთვლიან. ზოგიერთებს თუცა ყოველივე ესე სწამთ, მაგრამ მხოლოდ სიტყვით და არა საქმით. ახლა, კაცთა შორის სათნოების მაგიერ რას ვხედავთ? მართალია, შედარებით ისეთი ქიშპობა, მტარბა ურთიერთშორის არ არის, მაგრამ ახლაც განაა უმეტეს ნაწილად თავიანთ ინტერესების გულისათვის არ იღწვიან? თითქმის ყოველი ჩვენგანი პატვის სცემს მხოლოდ იმას, ვინც მისი პატვის მცემელია და ვისგანაც სამაგიეროს არ გამოიღოს, ყურადღებასაც არ აქცევს. მტრის, მოწინააღმდეგის მიწისთან გასწორებაზე ხომ დღე და ღამ ფიქრობს!

დღეაკაცსაც დიდი უფლება მიეცა, თითქმის გათანასწორდა მამაკაცთან; არამც თუ შინაურ საქმეებში, არამედ საზოგადოებაშიდაც მხურვალე მონაწილეობას იღებს; აღარ არის ისე დამწყვედელი, კარჩაკეტილი, როგორც უწინ იყო. მაგრამ სამაგიეროდ ვერ ვხედავთ იმ წმიდა ერთგულ ცოლქმობას, როგორსაც გვიხატავს ქრისტეს სწავლა. ხშირად ვხედავთ ცოლქმარს შუა უსამაოვნებას, უმპაყოფილებას. ხშირად ცოლები ცუდი ყოფაქცევით სიცოცხლეს უმწარებენ თავიანთ ქმრებს და ცოლებიც ქმრების მეოხებით ხშირად ყრიან შიშველ-ტიტეღნი, მშვიერ-მწყურვალნი, თვალ-ცრემლიანი. შვილებს განა ყველა დედები თვითონ ზღიან? არა. როგორც უწინ რომაელები არ იწყებდნენ თავს, ახლაც ჩვენი შეძლებულნი თავიანთ თავის დამამკირებლად რაცენ ბოგშვების აღზრდას. შეიძლება დედამ ათასში ერთხელ მოუაღეროს შვილს და ისე გულცივად, ვითომც მისი შვილი



არც კი იყოს. თუ უწინ საბერძნეთში ნებას აძლევდნენ ავადმყოფ, სნეულ ბავშვების გადაღებას, დახოცვას, განა ცოტა დედები მოიპოვებინან ახლაც, რომლებიც არამც თუ სუსტს, არამედ საღ ბავშვებსაც იმეტებენ და ქუჩაში დასტოვებენ, ან და ჩუმათ ახრჩობენ და სადმე მალავენ. მართალია მთავრობა, საზოგადოება ზრუნავს ამ უპატრონოდ დაგდებულ ჩვილთათვის, მაგრამ შეიძლება ეს შეღარებით ბედნიერნი, სიკვდილისაგან გადარჩენილნი, მეთელ-მეოცებს ნაწილსაც არ შეადგენენ უგზო-უკვლოთ დაღუპულთა. ახლა, შეილებიც რა ხერხს აყრიან დედ-მამას?! გლახაკები შეიწყნარეთო, გვეუბნება მაცხოვარი და დიდ ჯილდოსაც პირდება მათ გულშემატკივართა. და, მართლაც ვცდილობთ ვიქონიოთ მათთვის თავშესაფარი, სასაბილოები და სხ. მაგრამ ყველგან არის ასეთი შემწეობა და ყველა ხდება ბედნიერი, ეღირსოს აშაირ მოწყალეობას. რამოდენი უსახლ-კარონი, შიშველ-ტიტველნი, მშიერ-მწყურვალნი დახეტიალობენ და ხან ერთს მიაღებინან, ხან მეორეს. მერმე როგორც უწინ ედნებოდნენ მათხოვრებს, ახლაც ისე არ ეპყრობიან მათ? განა ახლაც არ არიან ისეთები, რომლებიც ქადაგებენ: ვინც მათხოვრებს შეიწყალებს ის მათი მტკრია და არა მოყვარე. ბატონყობა გადავარდა, მონობა ვითომც მოიხპო, მაგრამ განა ყველგან ისე, როგორც მაცხოვარი გვაძენებს?..

ჩვენ ვსაოცებთ ისევ იმაზე, რომლის შობის დღესაც თავყანსა ვსცემთ, ის შეგვაძლებიებს ყოველივე იმის ასრულებას, რასაც ჩვენგან თხოულობს, ვინაიღგან ჩვენთვის შეუძლებელს იგი არასოდეს არ მოგვთხოვს. ამინ.

წინამძღვარი ქვაშ. წმ. გაბრიელ ეკატეხიასა მარტოხ ტეჟმაღასკე.



სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნებათა განყოფილება.

საეჭვო ციხეების განმარტება.

გაო. შეიძლება თუ არა მთავარ დიაცვის კურთხევა უეჭაზმენოდ, თუ მთავარ დიაცვის მარტო სასულიერო სასწავლებლის ოთხი კლასის კურსი აქვს გათავებული?

მაგ. ეხლანდელი დადგენილი წესით, უეჭაზმენოდ ოთხი კლასის კურსის შემარტლებელს არ შეუძლია მღვდლად ეკურთხოვს. მაგრამ საჭიროების დროს და ადგილობრით მღვდელ-მთავრის შეხედულებისამებრ, შეიძლება მღვდლად კურთხევა თუ ოთხი კლასის კურსი შეუსრულებია; ამის მაგალითები ბევრია.

გაო. ბლაღოჩინი მსახურებდა თუთხმეტი წელიწადი ბლაღოჩინის თანამდებობაზე. მეთუთხმეტი წელიწადზე დათხოვნილ იქნა თანამდებობიდან. განჩინება ამ ბლაღოჩინის თანამდებობიდან დათხოვნის შესახებ, დაამტკიცა უწმიდესმა სინოდმა. შეიძლება თუ არა ამ ბლაღოჩინის წარდგინება მესამე ხარისხის ანნას ორდენზედ, რადგანაც კანონით თორმეტი წლის მსახურებისათვის ყველა ბლაღოჩინებს ეძლევათ ეს ორდენი?

მაგ. საკვირველია, როგორ დარჩა ეს ბლაღოჩინი ისე, რომ ვერ გაიგო და არ გაახსენდა თორმეტ წელიწადზე წარდგინათ ანნას მესამე ხარისხის ორდენზე. ეხლა კი საძნელოდ მიგვაჩნია მისი წარდგინება. კანონით ყველას კი არ მიეცემა მესამე ხარისხის ანნას ორდენი, ვინც ბლაღოჩინობის თანამდებობაზე თორმეტი წელი გაატარა. ორდენი ეძლევათ მხოლოდ მათ, რომელნიც განსხვავებით და სასარგებლოდ



მსახურებდენ. თუ ბლაღოჩინი საქმით იყო დათხოვნილი, სჩანს მას სასარგებლოდ ვერ უმსახურია.

კით. დღეს მსახურებს მღვდელი საღმრთო სჯულის მისწავლებლად ქალაქის სასწავლებელში. წინეთ ამ მღვდელს თერამეტი წელიწადი უმსახურებია მრევლის მღვდლად. მრევლის მღვდლად მსახურება ჩაეთვლება თუ არა პენსიის დანიშვნისათვის?

პიკ. მთავრობის განკარგულებით, პენსიის დამსახურებისათვის მისწავლებელ მღვდელს შვიდი წლის სამსახური მრევლის მღვდლობაში, ხუთი წლის ნამსახურად ჩაეთვლება პენსიის მიღებისათვის.

„იპმრიბ“

გამოვა 1902 წელს

გადიდებულ ადგილობრივ რუსულ გაზ. ფორმატისა იმავე შტაბგამათ, რვაგზრე წინეთ

ფასი გაზეთითა:

12 თთვით	10 მ. — კ.	6 >	6 მ. > კ.
11 >	9 > 50 >	5 >	5 > 50
10 >	8 > 75 >	4 >	4 > 75
9 >	8 > — >	3 >	3 > 50
8 >	7 > 25 >	2 >	2 > 75
7 >	6 > 50 >	1 >	1 > 50

საზღვარ გარეთ დაბარებული ედირება 17 მან. მთელის წლით. სოფელის მსწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დაეთმობათ 8 მან.

ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Редакція «Иверія».

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისის გარეშე აღრესულ შესკვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მან.: ხოლო თუ ტფილისის გარეშე ხელის მომწერი ერთის ადგილიდან მეორეში გადავიდა, უნდა წარმოგზავნოს ორი აბაზი.

ვინც გაზეთს ამ თავით მთელის წლით დაბარებს, იმას შეუძლიან წლის ხელ-მოსაწერი ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანოს ამ გვარად: ხელის მოწერის დროს 3 მან. პირველ მარტ — 2 მან. პირველ მაისს — 3 და პირველ სექტემბერს — 2 მან.

ფასი განსხვავებისა:

მეოთხე გვ. თითოჯერ სტრიქ.— 8 კ., პირველზედ — 16 კაბ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდველ ხელნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰქირსულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება უოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ნამუხადღევის პირველ საათიდან სამ საათამდე.

რადამაშია იმპოფობა:

ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.

განსხვადებანი

საქმაწავლო ნახატებანა ჟურნალა

„ჯეჯილი“

წელიწადი 80-13-ბი

გამოვა 1900 წელსაც თვეში ერთხელ იმავე

პროგრათ, როგორათაც აქამდე

ქურნალი „ჯეჯილი“ მიდებუფია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავად.

ქურნალი «ჯეჯილი»: თბილისში დატარებით ეღირება— 4 მანეთი, თბილისის გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნაწერი 50 კაბ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1. თბილისში — წერა-კარხ. გამ. საზოგადოების) კანცელარიაში და თვით «ჯეჯილის» რედაქციაში (არტილერიის ქ. № 5, კადეტთა კორპუსის ახლო).

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала «Джеджили».



დამდეგ 1902 წლისათვის

მიღება ხელის მოწერა

„მოამბე“-„სნობის-ფურცალი“

ყოველ თვიური ყურნალი

„მოამბე“

(წელიწადი მეცხრე)

ფასი ყურნალის გაგზავნით:

რუსეთისა და კავკასიის ქალაქებში 1 წლ. 10 მან., 6 თვით 6 მ. 3 თვით 3 მან. სსმზღვარ-გარეთ: ერთი წლით 13 მან. 6 თვით 7 მან. სამი თვით 5 მან.

წლიურა ფასის განაწილება: პირველად 5 მან. 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მანეთი.

ყოველ დღიური გაზეთი

„სნობის ფურცალი“

(წელიწადი მეხუთე)

გაზეთის ფასი გაგზავნით:

რუსეთისა და კავკასიის ქალაქებში 1 წლით 6 მ. 6 თვით 4 მ. 1 თვით 75 კაპ., სსმზღვარ-გარეთ: ერთი წლით 9 მან., 6 თვით 7 მ., 1 თვით 90 კ.

წლიური ფასის განაწილება: პირველად—3 მან., პირველ აპრილამდე—3 მ., თითო ნომერი—3 კ.

ვინც „მოამბეს“ მთელი წლით გამოიწერს, „სნობის ფურცელი“ უფასოთ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისთვის უნდა დაუმატოს 1 მან., რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილ.

გაზეთი „სნობის ფურცელი“ გამოდის 1400 წ. პირველ დეკემბრიდან გაფართოებულის პროგრამით და გადიდებული ფორმატით.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ. მეოთხეზე 5 კაპეიკა.

თუ განცხადება პ. ჯერსზე მეტი დასაუქვება, მასში დასაუქვება ნაკლები ვიარება.

ადრესი რედაქციის: Тифлисъ, въ редакцію „Моамбѣ“ и „Снобисъ-Пурцели“.

3—2

საპალიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო

ნახატებიანი გაზეთი

„კვავლი“

(წელიწადი მეათე)

გამოვა 1901 წელში ყოველ კვირაში ერთხელ გაფართოებულ პროგრამით ერთიდან სამ თაბამდე.

რედაქციისაგან: რადგანაც ახალ წლიდან „კვალის“ გამოცემის საქმე ახალ პირობებში დგება, ამისათვის შესაძლებელი ხდება გაზეთის სივრცით გაფართოვება, ახალი მუდმივი განყოფილებების შემოღება და მით მკითხველისათვის მეტი საკონხავი მსაღის მიწოდება.

წლის განმავლობაში „კვავლი“ დაიბეჭდება მეცხრამეტე საუკუნის ყველა შესანიშნავ მოღვაწეთა სურათები (ევროპის, რუსეთის და ჩვენი) მათი ბიოგრაფიებით.

გაზეთი წლიურად ღირს გაუგზავნელად 7 მან., ხოლო გაგზავნით 8 მან. ნახევარის წლით გაუგზავნელად 3 მან. და 50 კაპ. გაგზავნით 4 მანეთი. სამი თვით 2 მან., თითო ნომერი საქ შუაოდ.

ხელისამოწმრდება წლია ფული შეუპლიათ ნაწილ-ნაწილად გააოკავაონ.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში „წერა-კითხვა“ გამაერცელმელო საოჯდოების კანცლოიაში“ (სახალს ქ, სათავად-ან. ქრე.) და თვით „კვალის“ რედაქციაში—საპურნის ქ, № 15, აღქსანდროვის ბაღის გვარდთ.

ქუთაისში: მიტრიაფანე ლადქესთან და ვბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში; ბათუმში კთავართქილაძის წიგნის მაღაზიაში და სხხანდრუფასო სამკითხველიში; ოზურგეთში და ახალსენაგში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში, ჭიათურაში კარვე მოღებამქესთან და ყვორილაში ივანე არდიშვილთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Квали“

3—2

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. ღ. ლამაშიძე.

Редактор-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 25 январа 1902 г. ♦ Цензоръ прот. Е. Елисеѣв

Тшог. редакціи журн. „Пастыль“ (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собст. домѣ.